პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქვირა, 12 მარტი, 1944 წ. № 52 (6996). ფასი 20 კაპ.

გავაძლიეროთ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა სოფლად

საომარმული ომის ვითარებაში პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. კლუბი, ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი სოფლად წარმოადგენენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მძლავრ კერებს, საიდანაც კოლმეურნეები, ყველა მშრომელი ყოველდღიურად იღებს საჭირო, საინტერესო ცნობებს სამამულო ომის მიმდინარეობის, საერთაშორისო მდგომარეობის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ.

კლუბები, კულტურის სახლები, ქოხ-სამკითხველოები საქმიან დახმარებას უწევენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მასების დარაზმვაში უხვი სამხედრო მოსავლისათვის საბრძოლველად, ეხმარებიან კოლმეურნეებს სოციშეჯიბრების გაჩაღებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ფრონტულად მუშაობაში, მკირი წოთელი არმიისადმი, ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად წარმართავენ საagიტაციო-მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ყველა ფორმას.

იქ, სადაც პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს საჭირო ყურადღებას აქცევენ და ეხმარებიან, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და კულტურის სახლები კარგად მუშაობენ.

ხაშურის რაიონში კარგად მუშაობს ქვიშხეთის სასოფლო კლუბი, რომლის გამგეა კომკავშირელი სარა გომარელი. კლუბს თავის გარშემო შეუკრებილი ჰყავს აქტივი და გაშლილი აქვს საწრეო მუშაობა. აგროტექნიკურ წრეში გაერთიანებულია კოლმეურნეობის 25 ბრიგადირი, მერგოლური და სტახანოველი. წრეს კვალიფიციური ხელმძღვანელი ჰყავს. თვეში სამჯერ ტარდება მეცადინეობა. კლუბთან შექმნილია და მუშაობენ სამხედრო, დრამატიული, სანიტარული წრეები. კლუბის 35 აქტივისტი სისტემატურად აწყობს საუბრებს მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე და გაზეთის ხმამაღლა კითხვას კოლმეურნეობებში. კლუბს აქვს სამუშაო გეგმა, უშვებს კედლის გაზეთს, გაფორმებულია ლოზუნგებით და პლაკატებით. კლუბთან არსებულ სამკითხველოში წიგნები და ახალი ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის საკმაო რაოდენობით არის.

სოფელ კაცხის სამკითხველოს (ჭიათურის რაიონი, სამკითხველოს გამგე ლ. ყიფშიძე) დარაზმული ჰყავს აქტივი, რომლის საშუალებით ქმედითს საagიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა კოლმეურნეებში.

კარგი მუშაობის მაგალითებს იძლევიან აგრეთვე სოფელ პატარა ფოთის და კასპის რაიონის კულტურის სახლები. ისინი ნამდვილად წარმოადგენენ კულტურულ-მასობრივი მუშაობის ცენტრებს სოფლად.

მაგრამ მთელი რიგი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი სოფლად ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ზოგიერთი რაიონის პარტიული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და არასაკმაოდ ეხმარებიან სასოფლო კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებს, კულტურის სახლებს, ბიბლიოთეკებს მუშაობაში. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა წარმოადგენს პარტორგანიზაციის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის პირდაპირ გაგრძელებას. მთელ რიგ რაიონებში კომკავშირის ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მუშაობაში.

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდ მნიშვნელობა აქვს კადრებს. იქ, სადაც კლუბს, სამკითხველოს ან ბიბლიოთეკას მომზადებული, ინიციატივიანი და ენერგიული ხელმძღვანელი ჰყავს, მუშაობაც წარმატებით მიდის. მაგრამ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი ყველგან სათანადო კადრებით არ არიან უზრუნველყოფილნი. ძირითადად კადრობის შერჩევისადმი არასაკმაო ყურადღებით აიხსნება ის გარემოება, რომ ყვარლის, კასპის, თიანეთის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებები შეხვედრით ამ საქმისათვის არასაკმაოდ მომზადებულ მუშაკებს ამიტომ არის, რომ ამ რაიონებში ზოგიერთი კლუბისა და სამკითხველოს მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არა დგას.

ასპინძის რაიონის სოფ. ბიზაბავრის, ხერთვისის, ტოლოშის სასოფლო კლუბები და ქოხ-სამკითხველოები სუსტად მუშაობენ. თვითმოქმედი წრეები ჩამოყალიბებული არ არის. სამამულო ომის შესახებ ლიტერატურა მეტად მცირე რაოდენობით აქვთ. კედლის გაზეთი იშვიათად გამოდის, პლაკატები და ლოზუნგები არა აქვთ. ასევე სუსტად მუშაობენ ქარელის რაიონში ავლევის და რუისის სასოფლო კლუბები.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული სამკითხველო, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა მებრძოლ აგიტპუნქტებად გადავაქციოთ და ამგვარად მივაღწიოთ იმას, რომ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი სოფლად აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარებაში. ამისათვის საჭიროა ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად გადაჭრით გაუმჯობესონ ამ დარგში კადრების შერჩევა; ფართოდ ჩააბან პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, სოფლის ინტელიგენცია. მიღწეულ უნდა იქნას, რომ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი სოფლად უზრუნველყოფილი იყოს ჟურნალ-გაზეთებით, ლიტერატურით, რუკებით, პლაკატებით და სხვა თვალსაჩინო მასალებით. კლუბებისა და სამკითხველოების გარშემო უნდა დავრაზმოთ ფართო აქტივი კოლმეურნეებისა და სოფლის მუშაკთა წრეებად, მათი საშუალებით გავაჩაღოთ თვითმოქმედი წრეების მუშაობა, კედლის გაზეთის გამოცემა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს თავისი ინსპექტორების საშუალებით მეტი ოპერატიული დახმარება უნდა გაუწიოს ადგილებზე მუშაკებს მეთოდური რჩევა-დარიგებით, კონსულტაციებით, შეკრებებისა და სემინარების მოწყობით.

გაზაფხული დადგა. სოფლად გაჩაღებულია მუშაობა უხვი, გამარჯვების მოსავლისათვის. ამასთან დაკავშირებით პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა წინაშე საბრძოლო ამოცანები დგას. სასოფლო კლუბების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების მოვალეობაა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ აგიტკოლექტივებს, აგიტატორებს და მუშაობის ცენტრი მინდვრად საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში გადაიტანონ. მათ უნდა მოაწყონ მოძრავი ბიბლიოთეკები, საველე გაზეთების რეგულარული გამოცემა, კინოსურათების ჩვენება. შესვენების დროს უნდა ჩაატარონ საუბრები და გაზეთების კითხვა, გამალონ თვითმოქმედი წრეების მუშაობა. ლიტერატურული, დრამატიული, სამხედრო და სანიტარული წრეების მუშაობასთან ერთად ახლა განსაკუთრებით უნდა გააცხოველონ თავიანთი მუშაობა აგროტექნიკურმა და ზოოტექნიკურმა წრეებმა, რომელთა მუშაობა პირდაპირ დაკავშირებულია, სავაზთხულო საშუალოთა წარმატებით ჩატარებასთან.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ფართოდ გაშალეს მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ბოლშევიკურად გააჩაღებენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას სოფლად, გააუმჯობესებენ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობას, კიდევ უფრო დარაზმავენ მასებს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის, ჟნვი სამხედრო მოსავლის — გამარჯვების მოსავლის მისაღებად, ვერაგი მტრის — ჰიტლერელ დამპყრობთა სრული განადგურების დასაჩქარებლად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 მარტის ოპერატიული ცნობა

11 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ **ტარნოპოლის** ჭურებში.

პრესკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს კიდევ ოლქის რაიონული ცენტრი ლანივცი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბალაბანოვკა, კნიაჟე-კრინიცია, კოზირტა, ტერლიცა, კარაევკა, ველიკაია სავუსტიანოვკა, ივანგოროდი, კრასნოკოლკა, სტრაჟგოროდი, როსოშა, ჯუზმინა-გრებელია, ოსიტნა, რიჟევკა, გოროდნიცა, ტეკუჩა, კრუტენკოე.

ქალაქ **კიროვოგრადის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწყობენ შეტევის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს კიროვოგრადის ოლქის რაიონული ცენტრები — ქალაქი ზლატოპოლი, ქალაქი ნოვომირგოროდი, ბოლშაია ვისკა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლისტოკაძოვო, კამენოვატკა, მარტინოში, კანჩევო, მარიანოვკა, ნოვო-ალექსანდროვკა, ნიკოლაევკა და რკინიგზის სადგურები შესტაკოვკა, მარინოვკა.

ქალაქ **კრივოი როგის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ინგულო-კამენკა, ბატიზმანი, ალექსანდროვკა, ნიკოლო-ბრიგოროდოვკა, ბოგდანოვკა, კაშიროვკა, ტარასოვკა და რკინიგზის სადგურები მარუშაევკა, ტიმკოვო, ვისუნი. ჩვენი ჯარები მოადგნენ რკინიგზის კვანძ დოლინსკაიას.

აპოსტოლოვოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრები — ქალაქი ბერისლავი (დნეპრის დასავლეთ ნაპირზე) და ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის გოროდნოე, კამენკა, ალექსანდროვკა, ტარასოვკა, ბიგოვკა, მიროვკა, რავნოპოლიე, ნოვო-დმიტრიევკა, პიატიხატკა, ბოროზენკი, სუხანოვა, ულიანოვკა, მიხაილოვკა, დრემაილოვკა და რკინიგზის სადგური ბლაკიტნოე.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

10 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახვიანეს და მოსპეს გერმანელთა 98 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და ზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 49 თვითმფრინავი.

* * *

პრესკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის ბრძოლებს. ნ შენაერთის ნაწილებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. გერმანელებს წეავართვით 11 თვითმავალი, 20 საველე და საზენიტო ქვემეხი, 3 ტანკი, 70-ზე მეტი ავტომანქანა, 200 ცხენი და 5 საწყობი. დავიდეროცის რაიონში მოწინააღმდეგე ტანკებისა და ქვეითი ჯარის ძალების არაერთგზისი კონტრიერიშებით ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ჯარების წინსვლა. საბჭოთა მებრძოლებმა ფლანგებიდან მძაფრი დარტყმებით გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი და დაიკავეს ეს დასახლებული პუნქტი. წამოყვანილია პირველი ტყვე. ორი დღის ბრძოლებში ამ რაიონში დახიანებული და დამწვარია გერმანელთა 60-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ქალაქ უმანის ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებების შეტევას. მოწინააღმდეგე თავის განადგურებულ დივიზიებს სწრაფად უყრის თავს მებრძოლ ჯგუფებად, ბრძოლაში აბამს რეზერვებს და ისწრაფვის მოაწყოს თავდაცვა ხელსაყრელ ზღუდეებზე. მტრის ყველა ეს ცდა კრახს განიცდის. ჩვენი ქვეითებისა და ტანკისტების დარტყმების შედეგად გერმანელები უკან იხევენ და ამასთან ჰყრიან ტანკებს, ქვემეხებს და ავტომანქანებს. ჩვენი ჯარების მიერ გუშინ დაჯაჭვებულ ქალაქ უმანის განაპირა უბნები და ჭიშკები საფსა გერმანელთა საბრძოლო ტექნიკით და ტრანსპორტით. გვარდიის ნ შენაერთის მებრძოლებმა, რომლებიც მიჰყვებიან ტანკებს საფლობ ტალახში და ხელით ჯადაჯაში ზარბაზნები და ყუმბარები, ერთი დღის განმავლობაში 20 კილომეტრამდე გაიარეს. მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში მათ მოსპეს 2.000-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს დიდძალი დაკვა. მარტო ერთ დასახლებულ პუნქტში გვარდიელებმა ხელთ იგდეს 15 ტანკი, მათ შორის 7 „ვეფხვი“ და „ავაზა“. დღეს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ლადიჟინკა და 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. განთავისუფლებულია 20 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები გერმანიის კატორღაში მიერეკებოდნენ.

* * *

ქალაქ კიროვოგრადის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ შენაერთის ნაწილებმა გადალახეს გერმანელთა ნაწილებმა გადალახეს გერმანელთა სამაგრები და დაიკავეს ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ზლატოპოლი. ჩვენმა მებრძოლებმა წარმატება განავითარეს, დაარტყეს მოწინააღმდეგეს, რომელიც თავს იცავდა ქალაქ ნოვომირგოროდში და სასტიკ შეტაკების შედეგად დაიკავეს ეს ქალაქი. დაკავებულია აგრეთვე 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. მარტო ქალაქ ზლატოპოლისათვის ბრძოლაში გაყლეტილია 800-მდე ჰიტლერელი და საცეცხლე პოზიციებზე ხელთ ეიგდეთ მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო ბატარეა და სამოხი მასალების საწყობები.

* * *

ქალაქ კრივოი როგის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, გადალახეს მდინარე ლეგოვატკა და გავიდნენ დოლინკოის მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძთან. ბრძოლების მსვლელობაში ნ შენაერთის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენმა სატანკო შენაერთმა ერთი დღის ბრძოლებში ხელთ იგდო და მოსპო მოწინააღმდეგის 40 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 16 ჯავშანტრანსპორტიორი და 1.000-მდე ავტომანქანა.

* * *

ქალაქ აპოსტოლოვოს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ნ შენაერთის ნაწილებმა უამით გადალახეს მდინარე დნეპრი და სწრაფი იერიშის შედეგად დაიკავეს ნიკოლაევის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი ბერისლავი. სხვა ჩვენი შენაერთის მებრძოლებმა წინ წაიწიეს, გაელეტეს ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 12 ქვემეხი, 49 ავტომანქანა და სხვა დაკვა. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ ფინეთის ყურეში ჩასძირა მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი. გარდა ამისა, ცეცხლი წაუკიდეს გერმანელთა ორ საგუშაგო ხომალდს და ტრალერს.

* * *

ვიტებსკის ოლქში მოქმედი ოთხი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა კოლონას, რომელიც ფრონტის ხაზისკენ მიდიოდა. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს ვერმანელთა 14 ავტომანქანა და გაანადგურეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრძანებაუღება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გენერალ-ლეიტენანტ ი. ა. კლიევის დაჯილდოების

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნას **სუვოროვის** I ხარისხის ორდენით გენერალ-ლეიტენანტი ისა ალექსანდრეს-ძე პლიევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 10 მარტი.

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XII პლენუმი

10 მარტს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XII პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტებისა და მთელი რიგი საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები. სტუმართა შორის არიან: მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები, სტახანოველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსკოვის საწარმოთა პროფკავშირული აქტივი.

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს XII პლენუმი გახსნა ამხანაგმა ნ. მ. შვერნიკმა. მისი წინადადებით ერთხმად დამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.
2. 1944 წელს ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შემდგომში განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
3. სასადილოების, მაღაზიებისა და დამხმარე მეურნეობათა მუშაობისადმი პროფკავშირული ორგანიზაციების საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების შესახებ.
4. საორგანიზაციო საკითხები.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანმა ამხანაგმა ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ამხანაგ კუზნეცოვის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. (საკდესი).

მესანგრე მზვერავთა გმირობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.).

„პრავდის“ კორესპონდენტი ამბ. ოგნევი ბელორუსიის პირველი ფრონტიდან დეპეშით იტყობინება:

„საბრძოლო ვითარებაში ძნელია სხვადასხვა გვარეობის ჯარების მოვალეობათა შეკრება რეგლამენტირება. მშენებლები ხშირად გვერდზე გადასდებენ ხოლმე ტყესა და ბარს და ხელში იღებენ ავტომატს. თითქოს არაფერია სამშენებლო მასალების დამზადებაზე უფრო მშვიდობიანი საქმე. მაგრამ მას აქ მეტად ცხოველი ხასიათი აქვს.

საჭირო იყო მორების დამზადება დიდი ხიდის ასაგებად. რუკის მიხედვით ფიქრის ერთადერთი დიდი მასივი სოფლის მახლობლად მდებარეობდა. მესანგრეები მარუხინი, ბარიკინი და ცერცვაძე წავიდნენ დაზვერვაზე დამზადების პირობების გამოსარკვევად. სოფლიდან ორასი მეტრის დაშორებით მათ შეშიესმათ გერმანელი გუშაგის შეძახილი. ავტომატის ხოკლე ჯერმა გუშაგი დაადუმა. სროლის ხმაზე განაპირა სახლებიდან გამოცვივდნენ გერმანელები. მზვერავებმა სროლა ასტეხეს და კიდევ ოთხი ჰიტლერელი მოჰკლეს. გერმანელებმა წინ გამოაგორეს ტყვიამფრქვევი. მესანგრეებმა გადასწყვიტეს ტყეს შეჭიდებოდნენ. მარუხინს, რომელიც ამხანაგების უკუსვლას იფარავდა, ცოტა შეაგვიანდა. ჰიტლერელებმა ისარგებლეს ამით და განიზრახეს გარს შემორტყმოდნენ მზვერავს. მან სროლით მიაღწია ტყეს, მაგრამ სხვა ადგილზე გავიდა და ამიტომ ვეღარ იპოვნა ცერცვაძე და ბარიკინი. შუაგულ ტყეში მარუხინი მოულოდნელად შეხვდა ორ ქვეითს წითელარმიელს, რომლებსაც გზა დაჭრილოდათ, და მათთან ერთად განაგრძო გზა. ტყეში მდებარე პატარა მინდორზე მან შეამჩნია გერმანელთა ნაღმების საწყობი, ამოარჩია სამი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და ჩაწყო იქვე მიმავალ გზაზე. ტყისპირას შებრძოლები წააწყდნენ მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ბუდეს. მარუხინი მიეპარა ტყვიამფრქვევის გუნდს და ხრახნებით მოსპო იგი. საფლობი ჭაობით, ყელამდე ტალახში სვლით იგი წითელარმიელებთან ერთად თავისი ნაწილის განლაგებაში გავიდა“.

ვ. ყარა-მურზა

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 11 მარტი (საკდესი). ოპერაციების ევროპულ ასპარეზზე მოქმედ ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამა წლის თებერვლის განმავლობაში ამერიკის თვითმფრინავებმა, რომელთა ბაზასაც ინგლისი და იტალია წარმოადგენენ, გერმანიის საავიაციო ქარხნებს და სხვა ობიექტებს დააყარეს 24 ათასი ტონა ბომბი. ამავე პერიოდის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა მტრის 905 თვითმფრინავი. ამერიკის ავიაციამ თებერვლის განმავლობაში მოახდინა 20 თავდასხმა 17 საავიაციო ქარხანაზე და 22 თავდასხმა 20 აეროდრომზე გერმანიაში და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამერიკის ავიაციამ, რომლის ბაზასაც ინგლისი წარმოადგენს, ამ ოპერაციებში დაკარგა 267 ბომბდამშენი, ესაც იგი თავდასხმებში მონაწილე ბომბდამშენთა საერთო რაოდენობის 2,5 პროცენტი, აგრეთვე 70 ავიაგამანადგურებელი, რაც თებერვლის ოპერაციებში მონაწილე ავიაგამანადგურებელთა საერთო რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლებია.

გაზეთი

ომამდელი არმია, 10 მარტი (საკდესის სპეც. კორ.).

მოწინააღმდეგე არ მოელოდა, რომ წითელი არმიის ნაწილები თავიანთ შეტევას დაიწყებდნენ სწორედ ამჟამად, ისეთ დროს, როცა ცხენის ტრანსპორტი ტალახში ეფლობა, როცა თითქმის შეუძლებელი სჩანს მანევრი, საომარი მასალის მიწოდება. მაგრამ ეგ ზოობა ოპერაციების უნარიანი და ზუსტი ხელმძღვანელობით, ჯარისკაცებისა და ოფიცრების განსაცვიფრებელი გამძლეობით, ამტანობითა და საუცხოო საბრძოლო სულისკვეთების მეობებით ჩვენს მოკავშირედ იქცა.

სწორედ მოულოდნელად, მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ჩვენი სატანკო ნაწილები ქვეით ჯართან ერთად შეტევაზე გადავიდნენ.

გარეუბულ იქნა მდინარე გორი ტკიჩის ჯუაღებით მდებარე გერმანელთა თავდაცვა, რომელიც წარმოადგენდა კაცის სიმაღლე სანგრებისა და ორმწკრივი თხრილების ზაზს. მოწინააღმდეგემ დაანგრია ყველა ხიდი, ალაგ-ალაგ დანაღმა ნაპირები და ცდილობდა ჩვენი შეტევის შეჩერებას. მაგრამ ამან ვერ უშველა. საბჭოთა მოძრაობა რაზმებმა, რომელიც სძლევდნენ ტალახსა და უგზოობას, წყალდიდობას, მოახერხეს ერთ დღეს გადაელახათ წყლის ზღუდე და ზურგში მოჰკვეთოდნენ მტრის მოწინავე ნაწილებს. მათ პირველსავე დღეს დაიკავეს გერმანელთა წინააღმდეგობის მთელი რიგი ჯგანძები. დამარცხებული, დემორალიზებული მოწინავე ნაწილები ჰიტლერელებისა საშხრეთისაკენ გარბოდნენ, მათ საბჭოთა ქვეითები მისდევდნენ.

შეტევის მეორე დღეს ჩვენი ჯარები შეხვდნენ თავდაცვის სიღრმეში მდგომს მოწინააღმდეგის რეზერვებს. გაჩაღდა სატანკო ბრძოლები. გამარჯვება ეჭირა იმას ვისაც შესწევდა უნარი ასეთ უძნელეს პირობებშიც კი მოაწყოს მანევრები. გამარჯვება საბჭოთა ტანკისტებს დარჩათ. ჩვენი ოფიცრები უნარიანად ამოარჩევდნენ სოლიდს, თუ სად უნდა დაერტყათ. ჩვენი ტანკები სძლევდნენ ყველა ბუნებრივ დაბრკოლებას, შორს როცა გერმანელები ხევებში გაიხიბრებოდნენ ხოლმე თავიანთი მანქანებიანად. ჰიტლერელები აწყარად ნერვიულობდნენ, ჯაშინ როცა საბჭოთა მეთაურები ზუსტად დასახული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ.

დამახასიათებელია შემდეგი epizodi. ჩვენი ტანკების ჯგუფი მტრის დიდ კოლონას შეეჯახა. რადგან კოლონა ნელა მიდიოდა, საბჭოთა ტანკისტებმა მინდვრით შეუარეს მას და კოლონის თავს დაარტყეს. გერმანელები გზაში გაიჭედნენ. მათ შორის პანიკა ატყდა. მათ ჰქონდათ ზარბაზნები და ყუმბარები, მაგრამ არ შეეძლოთ მოეწყოთ რამდენადმე სერიოზული თავდაცვა. მტრის მთელი ტანკები იქვე დარჩა.

7 მარტის დასასრულს ჩვენმა ნაწილებმა ლიკვიდაცია უყვეს მტრის წინააღმდეგობის კერებს, გავიდნენ ზღვისონი როგის, სოკოლოვკის, პოტაშის, პოლუქინის, გორდაშევკის ზღუდეზე. ღამე შეტევა გაგრძელდა. მოწინააღმდეგე ებლაუჭებოდა ყოველ ზღუდეს, სულ ახალ-ახალი რაზმები გამოჰყავდა წინ, მაგრამ ვერ შესძლო გადაეწყვიტა კონტრდარტყმა მოეწყო.

ტანკისტები უმანის რაიონში გაიჭრნენ. ტანკისტებს ქვეითი ჯარი მიჰყვებოდა. გაიმართა ბრძოლები უმანისათვის. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებისა და გერმანელთა ახალი დამარცხების მკაფიო სურათს წარმოადგენენ ამ ქალაქის მისადგომთა მინდვრები და გზები.

ბერიოზოვკა პატარა სოფელია, რომელსაც შუაზე ჰყოფს პატარა მდინარე გორნი ტაკირი. ეს პატარა მდინარე გერმანელთა თავდაცვის ზღუდე იყო. ყოფილიყო ზურნიგოროდის სანგრებით. მაგრამ საბჭოთა ჯარების უეცარმა და შეუპოვარმა დარტყმამ მოწინააღმდეგეს საშუალება არ მისცა ამ ზღუდეზე გამაგრებულიყო. ბერიოზოვკაში გერმანელებს არ გამოადგათ არც ერთი სანგარი, არც ერთი თხრილი. ამ სოფლის ჩრდილოეთით მდებარე თავიანთ ზღუდეებზე დამარცხებული ჰიტლერელები — ბუნებული გახლეთ გაქცეულიყვნენ და მიეტოვებინათ ჯავშნიანი მანქანები, ქვემეხები, საომარი მასალები.

პოტაშის სადგურზე საშინელი ჭიდილი შეიქმნა. სხვადასხვა მარკის სავსებით ვარგისი ათობით მანქანები, ტანკები, ქვემეხები, საწვავები, ჯავშანმანქანები, სამზარეულოები, ავტომუსები—ყოველივე ეს მიატოვეს ჰიტლერელებმა.

მცხოვრებნი მოგვითხრობენ, რომ გერმანელებმა დაიხადეს მუნდირები, დაყარეს ჩექმებიც კი და მოჰკურცხლეს. ისინი იმასაც დიჭრობდნენ, რომ საკუთარი ტყავი გადაერჩინათ საბჭოთა ტანკებისა და ზარბაზნების ხიდან.

ჩვენი სატანკო ქვეგანაყოფები, რომლებმაც მძლავრი დარტყმები აგემეს ჰიტლერელებს, შეიჭრნენ უმანის ჩრდილოეთ გარეუბანში. იქ ჯარებისაგან შემდგარი ფაშისტთა გარნიზონი, რომელიც მონაწილეობას არ იღებდნენ უკანასკნელი დღეების ბრძოლებში, შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა. გაჩაღდა ბრძოლები ქუჩებში. გერმანელებმა ძლიერი ცეცხლი გაუფთრებული კონტრიერიმეზი მოიტანეს. ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ერთ უბანზე მათ ბრძოლაში გამოიყვანეს „ვეფხვის“ ტიპის 12 ტანკი და ცდილობდნენ მოეწყვიტათ ჩვენი ქვეგანაყოფები. იქ მყოფ ჯარებისა და ოფიცრებთან ერთად მეც ვიმყოფებოდი. ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ჯარები ბოლომდე გაწმენდენ ქალაქს მტრისაგან.

ალ. ფალიგაშვილი

ბრძანებაუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ვ. გოგუას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ბერიამინ ვასილის-ძე გოგუა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ცტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1944 წ. 10 მარტი. ქ. თბილისი.

ბრძანებაუღება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ო. ნ. ეგაძის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ოთარ ნიკოლოზის-ძე ეგაძე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ცტურუა
**საქართველ

შეჯვარაში

უკრაინის 1-ლი ფრონტი, 11 მარტი. (საკუთარი სპეც. კორ.). ეს სოფელი რამდენიმე კილომეტრი მანძილზე ამყოფებოდა ფრონტთან და იქ გაჩერებულ გერმანელთა ავტომანქანების კოლონას მხოლოდ გუშაგები იცავდნენ. ჩვენმა ტანკისტებმა სოფელთან დესანტი გადასხეს და საჭირო შემთხვევაში თავდაცვის ზარბაზნების ცეცხლით უნდა დაებრკოთ მათთვის მზარი. მეავტომატეები უცბად დაესხნენ თავს გერმანელ გუშაგებს და დახოცეს ისე, რომ სროლაც კი არ აცალეს. ადგილს თანმხლები გერმანელი ოფიციერი ტყვედ იქნა წამოყვანილი. ამ მომენტში, როდესაც იგი ფონჯან ყავას უჯდა. გერმანელი თავზარდაცემული იყო საბჭოთა მეომრების მოულოდნელი გამოჩენით და არ უცდია წინააღმდეგობის გაწევა.

— რამდენიმე დღის წინათ რომ ვისმე ეთქვა, რომ ჩვენ შეუძლიათ შეტევაზე გადმოსვლა ასეთი წარმოუდგენელი უეზოობის დროსო, ამ კაცს გიჟად ჩამთვლიდნენ,—განაცხადა მან,—ყველა ჩემი ნაცნობი ოფიცერი, ისე როგორც მე, დარწმუნებული ვიყავით, რომ მანამდე, სანამ გზები არ შეშრება, აქტიური მოქმედება არც ჩვენი მხრივ და არც რუსების მხრივ არ შეიძლება. ჩვენს ცხენოსან ჯარს ხუთი დღის განმავლობაში არ შეეძლო საომარი მასალის მიტანა წინა კიდეზე. უძლიერესი მანქანებიც კი ტალახში ეფლებიან.

ეს ეპიზოდი დამახასიათებელია საომარი პოქმედებისათვის, რაც ფრონტის ჩვენს უბანზე ამჟამად სწარმოებს. საბჭოთა შეტევა აქ გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. წითელ არმიის წინმძღოლი ნაწილები ხელთ იგდებენ გერმანელთა ტალახში ჩაფლულ ვარგის ტანკებს, გატეხილ ქვემეხებს, ამოუშვებელ მოტორიან ავტომანქანებს. ერთ სადგურში იდგა წასასვლელად გამზადებული ეშელონი, რომელიც დატვირთული იყო სამხედრო ქონებით. ჩვენმა ტანკისტებმა გზა გადაუსერეს, იერიში მიიტანეს სადგურზე და ეშელონი ხელთ იგდეს.

ეს მოულოდნელობა მიღწეულ იქნა ჩვენი მეომრების უმაგალითო დაძაბულობის შედეგად. ხანმოკლე ატეხებისა და თოვის შემდეგ იმ რაიონებში, სადაც ამჟამად ბრძოლებია გაჩაღებული, კვლავ დათბა. უკრაინის მინდვრებში დნება უკანასკნელი თოვლი. გაუვალმა ტალახმა, თითქოს, შეუძლებელი გახადა ყოველგვარი მოძრაობა იქ, სადაც გზატკეცილები არ არის. მაგრამ ჩვენი ტანკისტები, არტილერისტები, ნაღმტყორცნელები, მსროლელები და მესანგრეები სრული უეზოობის დღეებში კვლავ ბრძოლებით მიიწევენ წინ. არტილერისტები ხელით ეწევიან ქვემეხებს და არ ჩამორჩებიან ტანკისტებსა და ქვეითებს. დიდ გმირობას იჩენენ სამხედრო შოფერები, რომლებიც შეუფერხებლად უზრუნველჰყოფენ წინა კიდეს საომარი მასალით, საკვებითა და ყოველივე იმით, რაც საჭიროა.

ერთ ადგილას გაიჭირა ჩვენი ავტომანქანების კოლონა. წყალმა გზა გადმოიარა და საჭიროდ გაუხდა გზადა იგი. შოფერებმა დასჭრეს ხეები და მოსახლეობის დახმარებით გზა რაშედენიმე საათში შეაკეთეს. გზის მუშაკებისა და მესანგრეების რაზმები თან მიჰყვებიან მოწინავე ნაწილებს და ხარ მტრის ცეცხლქვეშ გაჰყავთ გზები. უგზოობასთან ბრძოლაში წითელ არმიას დიდ დახმარებას უწევს განთავისუფლებული სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა. ნაღებითა და ნაჭრებით შეიარაღებული ადამიანები გზებში გამოდიან და დაუღლელად მუშაობენ.

საბჭოთა ნაწილები წარმატებით სძლევენ უგზოობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და აგიწროებენ მტერს. ბრძოლა სწარმოებს უზარმაზარ სივრცეზე 180 კილომეტრი სიგრძით და მოწინააღმდეგეს ყველგან მძიმე დარტყმებს ვაგემებთ. ფრონტი სულ უფრო მიიწევს სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ჩვენმა ტანკებმა შორს შეაღწიეს მტრის ზურგში. ისინი ანგრევენ გერმანელთა თავდაცვას, ერთმანეთისაგან სთიშავენ მტრის წინააღმდეგობის დასაყრდენ პუნქტებს. ტანკების მიმყოლი ქვეითი ჯარი ამთავრებს მოწინააღმდეგის განადგურებას.

ჩვენი ტანკების მოწინავე რაზმები, მეავტომატეთა თანხლებით, მტრისათვის ისე მოულოდნელად მიადგნენ ერთი მდინარის ნაპირებს, რომ მოწინააღმდეგე ვერ ასწრო და ვერ მოასწრო მდინარეზე გადასასვლელისა და ხიდების მოსპობა. იქ, სადაც ხიდები არ არის, მებრძოლები გადალახავენ მდინარეებს და ამისთვის იყენებენ ადგილობრივ საშუალებებს. ჩვენი ტანკისტები მანევრულების ნამდვილ სასწაულებს გვიჩვენებენ.

ის ადგილი, რომლითაც ლეიტენანტ ტურჩენკოს სატანკო ასეულს შეუტევა უნდა დაეწყო, ხელს არ უწყობდა ტანკების მოძრაობას — იქ იყო ჭაობები, მაღლობები, ხრავნები და კორომები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტანკისტები გარს შემოერტყნენ სოფელს, სადაც ფაშისტები გამაგრდნენ, და რამდენიმე მხრით შეიჭრნენ ცენტრალურ ქუჩაში. გერმანელები, რომლებმაც იარაღი არ დაჰყარეს, დახოცილ იქნენ. ბევრი ჰიტლერელი, რომლებმაც ხელები ასწიეს, ტყვედ წამოვიყვანეთ.

უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა გადაუწყვეტეს თავიანთი შეფერთხილი ძალები, რეზერვებით შეევსოთ ისინი და მთელ რიგ ადგილებში კონტრიერიშები მოაწყვეთ და უმთავრესად ცდილობენ არ გაუშვან ჩვენი ნაწილები გზატეცილებზე. გერმანელები ყოველი ძალით ებღაუჭებიან შეპატოვკა-პროსკუროვის გზატკეცილს. მტერს აქ კონტრიერიშებზე გადმოაყავს ქვეითი ჯარის ნაწილები და ტანკების დიდი რაოდენობა. საბჭოთა ტანკები წარმატებით იგერიებენ კონტრიერიშებს და შტეგეას ავიდარებენ.

დიდი დასაყრდენი პუნქტის რაიონში უსახელოდ დამთავრდა გერმანელთა ერთ-ერთი კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა მტრის ტანკები მოსწყვიტეს ქვეითს ჯარს და ჰიტლერელები აიძულეს ჩაწოლილიყვნენ. მტრის ტანკებმა ვერ შესძლეს გამოჭრილიყვნენ ჩვენს საბრძოლო წყობაღებებში, ზარალი მოუვიდათ ჩვენი არტილერიისა და ჯავშანმტრებელი ცეცხლით და უკან დაიხიეს. მოკლე ხნის შემდეგ, გერმანელთა ქვეითმა ჯარმაც ვერ გაუძლო ჩვენს ცეცხლს და უკან დაიხია დიდი ზარალით. საბჭოთა ნაწილები ღრმად შეეღრტყნენ მარს გერმანელთა წინააღმდეგობის კვანძს დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.

ბრძოლები გრძელდება. ჩვენი ჯარები უწარმატებლად მანევრირებენ, შეიჭრნენ მტრის ზურგში, სჭრიან მას კომუნიკაციებს, განიწყვეტენ სდევნიან გერმანელთა ნაწილებს და განაგრძობენ ფაშისტ დამპყრობთა უკრაინის მიწა-წყლიდან განდევნას.

მაიორი გ. კრილოვი

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ აგიტაცია-პროპაგანდა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომმა სამამულო ომის დღეებში ფართოდ გაშალა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

რაიონში სისტემატურად ეწყობა ლექციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე — საკ. კ. პ. (ბ) წესდების და პროგრამის შესახებ პარტიის კანდიდატებისა და ახალგაზრდა კომუნისტებისათვის, ეკონომიკის საკითხებზე—წაროების პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხებზე—ისტორიის მასწავლებლებისათვის.

შემოღებულია მსმენელთათვის ლექციის გეგმის წინასწარი გაცნობა, ლექტორთა თათბირების ჩატარება. ყოველთვიური გეგმის შედგენის დროს ვითვალისწინებთ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოთხოვნებს.

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ შრომებზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად ვატარებთ თეორიულ კონფერენციებს, რისთვისაც წინასწარ ვაწყობთ საუბრებს, კონსულტაციებს, ლიტერატურის გამოფენას. კონფერენციის მონაწილეთა ვამზრახებთ ლიტერატურით და ვეწევით მათთან მუშაობას თეორიულ კონფერენციაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. მიმდინარე წლის მარტო იანვრიდან ჩატარდა 50 ლექცია, 23 ჯგუფური კონსულტაცია და 16 აგიტსემინარი.

რაიონში არსებობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 13 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 345 მსმენელი, ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" შემსწავლელი 61 წრე, მათში გაერთიანებულია 2.460 კაცი, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 23 წრე, რომელშიც გაერთიანებულია 990 კაცი. წრეები უზრუნველყოფილია კვალიფიკაციური პროპაგანდისტებითა და ლიტერატურით.

რაიონში მუშაობს 3 პარტკაბინეტი, 30 აგიტკოლექტივი და 8 აგიტპუნქტი, 914 აგიტატორი.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. მგელაძე) კარგად დააყენა საგიტაციო მუშაობა. პარტბიურო სისტემატურად აწყობს აგიტსემინარებს, აგიტატორთა თათბირებს, საუბრებს და ჯგუფურ კონსულტაციებს. ეხმარება აგიტატორებს საუბრების მაღალხარისხოვნად ჩატარებაში. აგიტატორები დეპოს კოლექტივთან ერთად იბრძვიან მეტი ჯანსაღი ორთქლმავლების გამოშვებისათვის. საორთქლმავლო დეპოს პოლიტბიუროს აგიტატორმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ უკანასკნელ თვეში გეგმის ზევით 16 ორთქლმავალი გამოუშვა. ბრიგადამ, სადაც იგი აგიტატორად მუშაობს, ამხ. ჭავჭანიძის საგიტაციო საუბრის დროს წინადადება წამოაყენა, 13 აპრილს ნაცვლად ბრიგადაში 7 კაცი ვიმუშაოთ და ბრიგადის დავალებას შევასრულებთო. ნაკლები მუშახელით ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით გაანადგურა.

საავგიტაციო მუშაობა კარგად არის დაყენებული სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურში, ქირთვის, 26 კომისრის სახელობის ქარხნებში, ავტოსარემონტო ქარხანაში, ზაჰესში (პარტბიუროს მდივანი ამხ. პირტახია).

მაგრამ ყველგან როდია ასეთი მდგომარეობა. საავგიტაციო მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ავლაბრის ქარხანაში (პარტბიუროს მდივანი ამხ. ავავჭოვი), მექანიკურ სარემონტო ქარხანაში, (პარტბიუროს მდივანი ამხ. ჭოხონელიძე), ქალთა მე-20 საშუალო სკოლაში (პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ფანცულია).

დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საავგიტაციო მუშაობა, რათა დავრაზმოთ მთელი ძალები საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის.

ვ. ძვარცხავა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. ა. მელაძე, პარტკომის მდივანი ამხ. გ. დაშნეველი) ფართოდ გამოეხმაურა ი. ბ. სტალინის სახელობის საარტილერიო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა კოლექტივის მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა ფაბრიკა-ქარხნის კოლექტივებისადმი—1944 წელს მტკ-ებსა და სამრეწველო-სატრაქტორო სახელოსნოებზე შეფობის მოწყობისა და საკოლმეურნეო მინდვრებზე ოესვისა და მოსავლის აღების ჩატარებაში მათთვის დახმარების გაწევის შესახებ.

ქარხნის კოლექტივმა ჯერ კიდევ 1914 წლის განმავლობაში შეფობა გაუწიოს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო ნაწილებით წითელწყაროს მტკ-ს.

ნაკისრ ვალდებულებათა გაწევაში განსაკუთრებით დაწინაურდა სამეკვდრო საავჭროს მუშათა კოლექტივი (უფროსი ამხ. ს. გოორგაძე), რომელმაც უკვე 1 მარტისათვის დაამზადა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების 1.000 სხვადასხვა სახის დეტალი. დავალებათა სანიმუშოდ განაღდების მხრივ ამ საამქროდან აღსანიშნავია ფრონტელის ცოლი ეკატერინე ეშინა, რომელიც დღიურ საწარმოო დავალებებს 210 პროცენტით ასრულებს, სტახანოველები ამხ. ნოდაროვი, ანდრიაშვილი და სხვ.

ლ. სარჯველაძე

საგჭოთა კავშირში

კონცერტები ბინაზე სამამულო ომის ინვალიდებისათვის

სამამულო ომის ინვალიდს, ორდენოსან გ. არხარეევს, რომელიც ცხოვრობს მოსკოვში, მალო-ტატარსკაია ქუჩაზე, № 9 სახლში, ამას წინათ მსახიობთა ჯგუფი ეწვია. იქვე, ამხ. არხარეევის ოთახში, გაიმართა კონცერტი. ცხატვრული კითხვის ოსტატმა ე. დალმა წაიკითხა საბჭოთა მწერლების რამდენიმე ნაწარმოები, ესტრადის მსახიობები ლ. ბოროსლავცევა და პ. სლობოდჩიკოვა სიმღერებს ასრულებდნენ, საკავშირო რადიოკომიტეტის პიანისტმა მ. ბერნარმა ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის რამდენიმე საფორტეპიანო ნაწარმოები შეასრულა. ამხ. არხარეევმა, რომელმაც ფრონტზე მხედველობა დაკარგა, გულითადი მადლობა გადაუხადა ხელოვნების ოსტატებს მასზე მზრუნველობისათვის.

მსახიობები ასევე ბინაზე ეწვიენ სამამულო ომის ინვალიდებს ოფიცერ ნ. ლარიჩევს, რიგითს მებრძოლ ლ. აფონინს და სხვებს. გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა უკანასკნელ ბანდიტურ ხერხებზე მოუთხრო ამ ფრონტელებმა მსახიობებს, რომლებიც მათ ყურადღებით უსმენდნენ.

ბელორუსიის სკოლები აღდგენის პროცესში არიან

ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში გაცხარებულა მუშაობა სკოლების, ჭიხსამკითხველოებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა აღსადგენად, რომლებიც დანგრეულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ. უკვე აღდგენილია 934 სკოლა და რამდენიმე ტექნიკუმი. ახლადაგებულ სამბავშვო სახლებში მოთავსებულია დაახლოებით სამი ათასი ბავშვი. მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლების აღდგენაში. მოსახლეობის ძალებით შეკეთებულია ბევრი შენობა, გაკეთებულია ასობით მერხი და თვალსაჩინო სახელმძღვანელო, გომელის მუშებმა თავისუფალ დროს შეაკეთეს რვა სკოლა და დაამზადეს მათთვის დიდძალი სათბობი.

ჰიტლერელ კაციჭამიებს დანამაულზე ნაასწრეს

„პრავდის" მოწინავე — 11 მარტი

დღეს „პრავდა" ბეჭდავს საგანგებო სახელმწიფო კომისიის ახალ ცნობას, წინათ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს იმ საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები სჩადიან მათ მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში, კიდევ ერთი მჭერმეტყველური საბუთი ემატება. მტერს დანამაულზე წაასწრეს. მტერს მისივე დოკუმენტები ამხელენ.

ისეთ უნამუსო არამზადებსაც კი, როგორიც ჰიტლერელები არიან, ეშინოდათ, რომ მათი კაციჭამიური დირექტივები და ბრძანებები საჯაროდ ცნობილი არ გამხდარიყო. ყველა გერმანულ დოკუმენტს, რომლებიც მოყვანილია საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობაში, აქვს წარწერები: „საიდუმლო, სახელმწიფო მნიშვნელობისა", „საიდუმლო, საკომანდო დოკუმენტი". ჯალათები მოიხსოვდნენ საშინაროების შემთხვევაში მოესპოთ ეს დოკუმენტები. მაგრამ წითელი არმიის დარტყმების გამო ბანდიტებს ისეთი სიცხე ადგებოდათ, რომ ისინი უკვე ვეღარ იცლიდნენ ეფიქრნათ ქალაღდების ბედიღბალზე. კიევიდან გესტაპოელები იძულებულ სახჩაროდ გაიქცნენ, რომ ვერ მოასწრეს თან წაეღოთ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის, აღმოსავლეთის ოკუპირებული ოლქების საიმპერიო მინისტრის ოპერატიული ბრძანებანი უშიშროების პოლიციისა და „სდ" უფროსებისადმი „ეგზეკუციის", „განსაკუთრებული რეჟიმის", „ლიკვიდაციის", „განსაკუთრებული ზომებისა" და „გაწმენდის ღონისძიებების" შესახებ სპეციალური ტერმინოლოგია განსაზღვრავდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა კაციჭამიური პრაქტიკის ჩვენი ქვეყნის დროებით ოკუპირებულ ქალაქებსა და სოფლებში.

მსოფლიოს პირველად როდი აქვს საქმე გერმანელ ჯარისკაცთან და გერმანელ მოხელესთან როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების დამრღვევებთან. გერმანელები იყვნენ, წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლისა წარსული მსოფლიო ომიდან სასჯდომი ტყვეების ხმარება რომ დაიწყეს. გერმანელები იყვნენ, კანონი ფეხქვეშ რომ გასთელეს და დაიწყეს ადამიანების მოწამვლა მახრჩობელა გაზებით. გერმანელები იყვნენ, საერთაშორისო კონვენციებს რომ არღვევდნენ და წითელი ჯვრის დაწესებულებებს უშენდნენ. გერმანელები იყვნენ, სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის წესებს ანგარიშს რომ არ უწევდნენ და შიმშილით ხოცავდნენ მათს საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავარდნილ რუსებს, ინგლისელებსა და ფრანგებს. გერმანელები იყვნენ, მიუხედავად კანონისა მოსახლეობას რომ აიძულებდნენ მათთვის ემუშაკნა, მშვიდობიან მცხოვრებთა ქონებას რომ იტაცებდნენ.

მაგრამ ის ბოროტმოქმედებანი, რასაც გერმანელები მაშინ სჩადიოდნენ, მკრთალი მოსჩანან ჰიტლერელ ორფეხა მხეცთა დღევანდელ მახვერპლთან შედარებით, ორფეხა მხეცებისა, რომლებიც თარეშობდნენ კიევში, სმოლენსკში, სტალინოში, ორიოლში, სტავროპოლში, კრასნოდარში, რომლებმაც გამოიგონეს „დუშეგუბკა", რომლებიც ხოცავდნენ ხალხს კატნის ტყეში და ბაბი იარში, ადგენდნენ აი ამ ინსტრუქციებს საბჭოთა ადამიანების მასობრივად გაჟლეტის შესახებ.

ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი ყაჩაღური სახელმწიფო, როგორიც არის ჰიტლერული სახელმწიფო, რომელმაც შეჰქმნა უზარმაზარი, განსაკუთრებული სახელმწიფო აპარატი კაციჭამიური პრაქტიკისა, ძარცვისა და ძალმომრეობისათვის. ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ესოდენ ცინიკურად გაეთელათ ფეხქვეშ ადამიანის უფლების ელემენტარული ნორმები. ჰიტლერმა და მისმა ხელქვეითებმა შეჰქმნეს ასეთი სახელმწიფო. შეჰქმნეს თავიანთი პირსისხლიანი გერმანია, რომლის სახელიც ამჟამად ყოველ პატიოსან ადამიანში ზიზღისა და უმძაფრესი სიძულვილის გრძნობას იწვევს.

დოკუმენტალურად არის გამორკვეული, რომ ჰიტლერელი ყაჩაღების ცილ სამხედრო ტყვეებისათვის შექმნილი არადამაბეური რეჟიმი გავრცელებულ იქნა აგრეთვე მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებზეც. მშვიდობიან მცხოვრებლებს სამხედრო ტყვეებად აცხადებდნენ და მათ მიმართ ყოველნაირ „ეგზეკუციებს" სჩადიოდნენ.

დოკუმენტალურად არის გამორკვეული, რომ შემაძრწუნებელ რეპრესიების სისტემას ფაშისტები გაუშაზადებდნენ არა მარტო რუსებს, არამედ უკრაინელებსა და ბელორუსებსაც, სომხებსა და ქართველებს, აზერბაიჯანელებს, ყველა საბჭოთა მოქალაქეს.

დოკუმენტალურად არის გამორკვეული, რომ გერმანელმა ფაშისტმა ბანდიტებმა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, დახოცეს 2 მილიონამდე კაცი — მოხუცები, ქალები და ბავშვები, მშვიდობიანი ქალაქები და მოქალაქეები, საბჭოთა სამხედრო ტყვეები.

ჰაიდრიხებმა, ჰინდენბურგებმა, ჰინდენბურგებმა, ჰარგოტებმა, რაშიტცებმა, შიფერებმა, ამ პროფესიონალმა ჯალათებმა, თავიანთს ინსტრუქციებში მათდამი დაქვემდებარებულ „ზონდერკომანდებისადმი" გაითვალისწინეს მათს მსხვერპლთან ანგარიშის გასწორების ბევრი ზომა და საშუალება. გერმანელები, როგორც ცნობილია, ბრძოლ სიტყვა-სიტყვით ასრულებენ „კანონს", იაიები მოწიწებით ეკიდებიან ინსტრუქციას. მაგრამ საბჭოთა სამხედრო ტყვეებთან და მშვიდობიან მცხოვრებლებთან ანგარიშის გასწორების საქმეში მათ დართული ჰქონდათ ნება გასცილებოდნენ ინსტრუქციათა და განკარგულებათა ფარგლებს, გამოეჩინათ „ინიციატივა". ჯალათის ფუნქციებს „ზონდერკომანდებთან" ერთად ყველა კისრულობდა, ვისაც კი სურდა. სამხედრო ტყვეთა ბანაკები სიკვდილის ბანაკებად იქცეოდა, ყოველ კომენდანტს თუ სასოფლო-სამეურნეო ოფიცერს სრული უფლება ეძლეოდა მშვიდობიანი მცხოვრების სულისა და ხორცის მიმართ, ყოველ ჯარისკაცს შეეძლო დაუსჯელად ეძარცვა, ძალმომრეობა ჩაედინა, ხალხი ეხოცა.

ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობის თავიანთი პრაქტიკით ჰიტლერელები დანამაულებრივად სთელავდნენ ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ომის წარმოების კანონებსა და ჩვეულებებს. ისინი ფორმალურად რომ უარჰყოფდნენ ამ წესებს. მაგრამ თავიანთი მოქმედებით მათ დაუვანახვეს, რომ საერთაშორისო კონვენციები ნაკუწი ქაღალდია მათთვის. ისინი იქცევიან როგორც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის საზიზღარი მატყუარები. საერთაშორისო სამართლის ნორმების უმაგალითო დარღვევისათვის, საბჭოთა სამხედრო ტყვეებთან და მშვიდობიან საბჭოთა მცხოვრებლებთან ანგარიშის მხეცურად გასწორებისათვის მათ მკაცრი სასჯელი უნდა მიეზღოთ.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობაში ჩამოთვლილია ფაშისტი ჯალათების სახელები, იმათი სახელები, ვისაც ბრალი მიუძღვის ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილ მასობრივ სისხლიან დანამაულობებში. საზიზღარ, მხეცურ მკვლელობათა ორგანიზატორებმა თავიანთი შავი სისხლით უნდა ზღონ თავიანთი ბოროტმოქმედებანი!

გმირი წითელი არმია მიერეკება გერმანელ ოკუპანტებს ჩვენი მიწა-წყლიდან, სპობს გაცოფებულ ფაშისტ ქოფაკებს. მტერს ვერ იხსნის ვერავითარი ცდა — დაფაროს თავისი სისხლიანი კვალი. უღმობლად ვიძიოთ შური იმათზეც, ვინც ძღეოდა ინსტრუქციებს საბჭოთა ადამიანებს მასობრივი დახოცვის შესახებ, და იმათზეც, ვინც ამ ინსტრუქციებს ახორციელებდა!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

ორდენოსანი მაიორი ა. ლ. კოკილაშვილი

ორდენოსანი მაიორი არჩილ ლაზარეს-ძე კოკილაშვილი დაიბადა 1906 წელს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში. საშუალო სასწავლებელი მან თბილისში დაამთავრა. კომკავშირის რიგებში 1921 წელს შევიდა. 1931 წლიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრია.

მაიორი არ. კოკილაშვილი 1927 წლიდან 1928 წლამდე მუშაობდა სოფ. შილდაში მოკავშირეთა კომიტეტის თავმჯდომარედ. 1928 წლიდან 6 წლის მანძილზე მუშაობდა ჯერ კომკავშირის რაიკომში, ხოლო შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე. 1938 წლამდე იგი იყო თელავის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის" პასუხისმგებელ რედაქტორად. ამავე წელს მუშაობდა თელავის რაიონის მიწვანის გამგედ. ამხ. არ. კოკილაშვილს დამთავრებული აქვს პარტკურსები და რაიონული გაზეთების რედაქტორთა კურსები.

ვიდრე ამხ. არ. კოკილაშვილს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გაიწვევდნენ, იგი მუშაობდა გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში, რომელშიც ჯერ ხელმძღვანელობდა რედაქციის საზეიდრო ტარუფილებას, ხოლო შემდეგ მუშსოფლკორთა განყოფილებას.

ამხ. ა. კოკილაშვილი მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში 1942 წელს გაიწვიეს, იგი ამჟამად ითვლება იმ სახელოვან დივიზიის შტაბორგანოს გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორად, რომელმაც ქ. ახაპის და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ისახელა თავი და დიდი სამამულო ომის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ფურცლები ჩაწერა. აღნიშნულ დივიზიას სათანადო შეფასება მისცა უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა და ახაპის 414 მსროლელი დივიზიის სახელწოდება მოიპოვა.

გაზეთი, რომლის რედაქტორადაც ამხ. არ. კოკილაშვილი ითვლება, ღირსეულად ასრულებს სარდლობის საბრძოლო დავალებას. აღნიშნული გაზეთი ყველა მეომრისათვის მომზიდველია და შინაარსიანი, იგი მებრძოლებსა და მეთაურებს აღფრთოვანებს სამშობლოსადმი ერთგულებით და თავდადებით ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ამხ. არ. კოკილაშვილს მეტად რთულ პირობებში უხდება მუშაობა, მაგრამ იგი დროს მაინც პოულობს და ვრცელ „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივს ხშირად სწერს წერილებს.



რედაქციის კოლექტივისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ამხ. არ. კოკილაშვილი სწერს: მეტად მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა. განსაკუთრებით ჩვენ. წარმოდგენილი გეგმების, თუ რა ძნელია მიწურში და ცხელი ბრძოლების გაყვეთება, მაგრამ ბოლშევიკებისათვის როდი არსებობს გადაულახავი ციხე-სიმაგრე. ჩვენ მას მტკიცედ ნებისყოფით ვლახავთ და მივდივართ წინ. ჩვენი ნათელი და წმინდათაწმინდა მიზნების სამოლოო გამარჯვებისაკენ. ეს გამარჯვება მოახლოებულია. ფრონტის ჩვენს უბანზე საქმე ისე მიდის და ამის შემდეგაც წავა, როგორც ეს ყველა ჩვენს საბჭოთა პატრიოტს გაეხარდება. ვცდილობთ მებრძოლებს ცეცხლის ხაზზე მივაწოდოთ მიმზიდველად გაკეთებული გაზეთი.

— ახლა რომ აქ ვიყოთ და უსმენდეთ ჩვენი არტილერიის კანონადას, გული სიხარულით ამეევსებოდა. მე კარგად ვარ. გულითა და სულით, ენერგიის დაუზოგავად ვემსახურები ჩემზე მონდობილ საქმეს. ვფიქრობ, რომ არ შევარცხვენ გაზ. „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივს, რომლის რიგებშიაც მე გამოვიწერთე და დავდეკაცდი.

სახელგანთქმული დივიზიის შემაც მებრძოლებთან და მეთაურებთან ერთად სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კაპიტანი ვალერიან დიმიტრის-ძე ეპიტაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

მ. საკაბული

ორდენოსანი გვარდიის მაიორი პ. პ. აკოფოვი

წითელი არმიის მამაც ოფიცერთა რიცხვს, რომლებმაც ვდავი სახელი მოიპოვეს სამამულო ომის ფრონტებზე, უკუთვნის ორგუნის ორდენოსანი გვარდიის მაიორი პეტრე ბაგლეს-ძე აკოფოვი. იგი დაიბადა 1908 წელს ზაქათალაში, ხელოსნის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. 1931 წელს დაამთავრა საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი, შემდეგში ამხ. აკოფოვი მუშაობდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიუმის მშენებლობაზე ბორჯომში, 100-ბინიანი სახლის მშენებლობაზე თბილისში, ხოლო სამამულო ომის დაწყების მომენტში ამშენებდა ჰიდროფიკაციის საწონ ფაბრიკას. 1941 წლის სექტემბერში იგი გაგზავნილ იქნა სპეციალურ სამხედრო-საინჟინრო გადასამზადებელ კურსებზე, შემდეგ —ფრონტზე.

ამხ. აკოპოვმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ გამოიყენა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება. ის ქვეგანაყოფი, რომელშიც ის ირიცხებოდა, მუდმივად იბრძოდა და ანადგურებდა საზიზღარ მტერს. ჯერ კიდევ 1942 წლის დეკემბერში ამხ. აკოფოვი სწერს თავის მახლობლებს:

„მე მსურს გაბაროთ, რომ ჩვენს ფრონტელმა ამხ. ეპიტაშვილმა ომის ფრონტზე თავი გამოიჩინა როგორც საუკეთესო მეთაურმა, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტმა და მამაცმა მეომარმა. მისი მებრძოლები უთნელეს პირობებში, მტრის ავიაციის განუწყვეტელ თავდასხმებში ასრულებდნენ სარდლობის საპასუხისმგებლო დავალებებს, ამიტომ ჩვენ ყველანი შურს ვიძიებთ წითელი არმიის საუკეთესო ოფიცრისათვის".

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კაპიტანი ვალერიან დიმიტრის-ძე ეპიტაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

ნ. ილოშვილი

ორდენოსანი კაპიტანი ვ. დ. ეპიტაშვილი



ვალერიან დიმიტრის-ძე ეპიტაშვილი დაიბადა 1901 წელს ქ. თბილისში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტე

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისათვის

აჭიანურებენ თესლის შეძენას

თბილისის რაიონის მთაწინა კოლმეურნეობები წარმატებით იბრძვიან უხვი სამხედრო მოსავლის მოყვანისათვის. სოფ. გლდანის ერუმახეს სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. აბუაშვილი) 1944 წლისათვის უკვე გათვისებულია 60 ჰექტარი ახალი ფართობი, ხოლო მარტყოფის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ეპიაშვილი) — 95 ჰექტარი.

ამჟამად თბილისის რაიონის 55-ვე კოლმეურნეობაში გაჩაღებულია თავდავიანი მარცვლეულის, ბოსტნეულის, მზესხვრისა და კარტოფილის თესვა. სოფ. წალასკურის ენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ე. ჩაჩანიძე) უკვე დაამთავრა როგორც ხვნა, ისე თავთავიანი კულტურებისა და მზესუმზირის თესვა, წარმატებით სთესავს ბოსტნეულს, მზად არის სიმინდის თესვის დასაწყებად. საგაზაფხულო ხვნა-თესვაში მონწინავენი არიან აგრეთვე სოდანლეულის ლ. ბერიას და ამავე სოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობები, სოფ. თელეთის კოლმეურნეობა „იმედი“ და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად მიმდინარეობს აგრეთვე ჯუნაების ბარვა, სხვლა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები.

მაგრამ ყველგან წარმატებით როდი იბრძვიან საგაზაფხულო თესვის გეგმების ვადაზე და ძალალბარისხოვნად შესრულებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის რაიონის კოლმეურნეობათა დიდმა ნაწილმა ქერის თესვა ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო, სოფ. დიღმის ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში დღემდე თესლიც არ მოუმზადებიათ. ასევე არ უზრუნიათ თესლის გამოყოფასა და მომზადებაზე მარტყოფის, ლილოსა და ახალსოფლის მთელ რიგ კოლმეურნეობებს. ლილოს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე გ. თოგიშვილი) ახალსოფლის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე გ. ჯანიშვილი) და მარტყოფის კოლმეურნეობებს სამყოფი რაოდენობით არა აქვთ მომზადებული თესლი. აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს უნდა მოვაგონოთ, რომ თესლის შეძენაში დაყოვნება დანაშაულია.

ტარ. თოდრაძე

გავაძლიეროთ თესვის ტემპები

ფითელწყაროს („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჯუთელის კოლმეურნეები უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხანაგ სტალინის 1944 წლის 23 თებერვლის ისტორიული ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ანაღდებენ და წელს ოხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის ფრონტულად მუშაობენ. რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე უკვე ფართოდ გაჩაღდა საგაზაფხულო თესვა. კოლმეურნეობებმა წელს 11.680 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები უნდა დასთესონ, უკვე მოხნულია 6.150 ჰექტარი, ხოლო თავთავიანი მარცვლეული კულტურების — ქერისა და შვრიის თესვის გეგმა გასულ წელთან შედარებით 50 დღით ადრე 122,5 პროცენტით არის შესრულებული. ზოგიერთი კოლმეურნეობა უკვე შეუდგა მზესუმზირის თესვას. საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის კარგად მოემზადა სოფ. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნიკოლოზ მამაიაშვილი), რომელმაც მოხნა 465 ჰექტარი, აქედან მუშასაჭრელით 255 ჰექტარი, ხოლო დანარჩენი 200 ჰექტარი ქერი და შვრია. ამ კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეთოე ბრიგადა (ბრიგადირი სოსო გოგილაშვილი) მოწინავეა თესვაში. გუთნისდედები ოსეთ ჯაბანაშვილი, ნ. ჭადაგიძე, გ. ბენაშვილი, ი. ნასაშვილი და გ. ჭადაგიძე ხვნის დღიურ დავალებებს 120 პროცენტით ასრულებენ. სოფ. არბოშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გიორგი კოტაშვილი) მოხნა 170 ჰექტარი და დასთესა 90 ჰექტარი ქერი, ქერის თესვის გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით. გუთნისდედები ს. ჯანიშვილი, ვ. ხუხნაშვილი და ს. გუგენიშვილი დღეში ნაცვლად 0,5 ჰექტარისა 0,6—ხნავენ. საგაზაფხულო ხვნა-თესვა წარმატებით მიმდინარეობს სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკში“, წითელწყაროს წითელი არმიის და ვოროშილოვის სახელობის, ქვემო ქედის კიროვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების X წლისთავის სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ საგაზაფხულო ხვნა-თესვაში არის ნაკლოვანებებიც. სოფ. ზემო ქედის ვოროშილოვის სახელობის, ქვემო ქედის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებმა და მარნეულის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით“-მა გააჭიანურეს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო თესლეულის მომარაგება, სოფ. ზემო ქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზაზე“ (თავმჯდომარე კ. ჩოხელი), კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ (თავმჯდომარე სანდრო ბექაური) და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე იოსებ მაჩაბელი) ცოტაღა გაბმულ ძალას სრული დატვირთვით არ იყენებენ. ნაკლოვანებებია მტს-ებშიც. წითელწყაროს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადები, რომლებიც მომსახურებას უწევენ ზემო მაჩხაანის ბერიას სახელობის, წითელწყაროს კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს და არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელ არბოშიკს“, ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ. ტრაქტორისტი გ. ალადაშვილი, ხატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირები ქ. ბეგიაშვილი და ს. ბულაშვილი სამუშაოს აცდენენ ამავე მტს-ის სატრაქტორო ბრიგადას, რომელიც ემსახურება სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა „შრომას“, 1 მარტისათვის არც ერთი ჰექტარი არ ჰქონდა მოხნული. ასეთ ნაკლოვანებებს შირაქის მტს-შიც ვხვდებით.

თესვის პირველი შედეგების დროს გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ გამოვასწოროთ — ასეთია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანიზების ღირსების საქმე.

შ. ჭოლაშვილი

ტრაქტორები მინდვრად გავიდნენ

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ზესტაფონის მტს-ი (დირექტორი ა. ხვედელიძე) წარმატებით მოემზადა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტის გეგმა ადრევე შესრულდა. 319 პროცენტით შეასრულეს ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების აღდგენის გეგმა. რემონტის საქმეში თავი გამოიჩინა ამხ. ვ. გიორგაძის ბრიგადამ. აგრეთვე ტრაქტორისტებმა ამხ. ღიბარაძემ, სვანიძემ, ჯუღელმა.

მარტის პირველ რიცხვებში ტრაქტორები გავიდნენ მინდვრად, ისინი შეუფერხებლად მუშაობენ. ირ. ცხადაძის ტრაქტორისტთა ბრიგადამ სამ დღეში 85 ჰექტარი მოხნა. კარგად მუშაობს ხვნაზე ვ. გიორგაძის ბრიგადაც. ტრაქტორისტი ბ. გელენიძე ყოველდღიურად ნაცვლად 7 ჰექტარისა 9 ჰექტარს ხნავს.

სტალინის სახელობის საარტელერიო ჭარხლის კოლექტივის მოწოდების საპასუხოდ ამ დღეებში მტს-ზე შეიფობა აიღო ფეროშენადნობის ჭარხლის კოლექტივმა. ჭარხლინამ მტს-ს უკვე დაუმზადა „სტზ“ ტრაქტორის შემაერთებელი ჭოროს ცალულები და სხვა სათადარიგო ნაწილები, მისცა სახელოსნოსათვის ქვანახშირი, ეხმარება სპეციალისტებით.

ჭარხლის კოლექტივი ყოველდღიურად აძლიერებს ზტბ-ისადმი დახმარებას.

პ. ჭიოკაძე

სანიმუშოდ ჩავაბაროთ საგაზაფხულო თესვა

ხულო („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა დროულად გაშალეს შუშაობა საგაზაფხულო თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. კოლმეურნეობა მზად არის თესვისათვის. დროულად შეაკეთა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მოამარაგა, გაშინდა და კონდიციამდე აიყვანა თესლი, საყურადღებოდ მოვლილია მუშა-საჭონელი, სათეს ნაკვეთებში გატანილია ნაკელი და სხვ. კოლმეურნეები პირობას ძღვიან, რომ საუკეთესოდ ჩატარებენ საგაზაფხულო თესვას და მით მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან 1944 წლის უხვი მოსავლის მიღების საქმეს.

4 მარტს სოფელ დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მოწოდებით მიმართა სხვა კოლმეურნეებს რაიონის ყველა კოლმეურნეს 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ ჩატარებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. სოფელ დიოკნისის კოლმეურნეობამ იკისრა 15 მარტისათვის დამთავროს თაბაშირის თესვა სათიბურებსა და ღია ველებში, თაბაშირის რგვა კი — 31 მაისს, თითოეული ჰექტარიდან მიიღოს 12 ცენტნარი თაბაშირ, წელს 4 ჰექტარით გაადიდოს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი და სხვ.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე კოლმეურნეობებში მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა.

მ. თაბაგარი

ხალხთა დიდი სჯალინური მეგობრობის დროშით

საქართველოს აკადემიკოსები — უკრაინას

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებული ქალაქების, დაბებისა და სოფლების მშრომელებს, მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა პირმშოთაგანია ოქტომბრის დიდი რევოლუციისა, იგიც ისევე, როგორც დანარჩენი რესპუბლიკები ჩვენი დიდი კავშირისა, წარმოშობილია **ლენინ-სტალინის** ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით. უკრაინის შესანიშნავი ხალხი საუკუნეთა მანძილზე გმინავდა პოლონელი პანების და სხვა უცხოელ დამპყრობელთა უხეში ჩაგვრისაგან. ოქტომბრის განთიადს თან მოჰყვა აღორძინება უკრაინის დიდი კულტურისა, მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისა.

ოდესღაც უმნიშვნელო ადმინისტრატიული ცენტრები პირველხარისხოვან ქალაქებად იქცნენ, წარმოიშვა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემია, მისი მაღალხარისხოვანი საბჭოური ლიტერატურა.

ჰიტლერელ მტაცებელთა ურდოებმა გადათქერეს ეს აყვავებული ქვეყანა, განუზომელ სატანჯველში ჩაგდეს უკრაინის შრომელი ხალხი. მეოცე საუკუნის ვანდალებს ეწადათ კვლავ მონობის უღელი დაედგათ მისთვის, მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ძვირად დაუსვა ეს ყოველივე გერმანელ ბანდიტებს.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებმა ჩვენმა არტილერისტებმა, მფრინავებმა, ტანკისტებმა და სნაიპერებმა, საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ერთად, წილი დაიდეს საბჭოური უკრაინის განთავისუფლების დიად საქმეში.

შორს არაა ის დღე, როცა ჰიტლერსა და მის მიერ დაჭირავებულ ჰანგსტერებს უსასტიკესი განკითხვა მოეთხოვებათ უკრაინის უნივერსიტეტების, მუზეუმების, სკოლების, ქარხნებისა და კოლმეურნეობების დანგრევისა და დარბევისათვის, უკრაინელი მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის დახვრეტისა, ტყვედ წაყვანისა და წამებისათვის, უკრაინის სახელმწიფო ქონების მოტაცებისა და განიავებისათვის.

ვიგონებთ რა ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას უკრაინის ხალხთან, ჩვენ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები, გვსურვებთ მოახლოებას იმ ბედნიერი დღისას, როცა არც ერთი მტაცებელი ფაშისტი არ იქნება უკრაინის ტერიტორიაზე, რათა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კვლავ მთლიანად ჩაებას მთელი ძალით საბჭოთა კავშირის დიადი აღმშენებლობისა და მისი დიდი კულტურის აღორძინების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის მშრომელებს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირულ წითელ არმიას და ჩვენს დიდ ბელადს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს**!

აკადემიკოსები: ნ. მუსხელიშვილი (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), ს. ჯანაშია (აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ე. ბერიტაშვილი, ალ. ჯანელიძე, გრ. წულუკიძე, ალ. ნათიშვილი, ა. შანიძე, კ. გამსახურდია.

უკრაინის განთავისუფლებულ დედაქალაქ კიევში. სურათზე: ხოფოხს მოედანი. ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი.

ფოტო დ. ფავილოვიჩისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

უკრაინის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებს, მუშა ქალებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს

ძვირფასო ამხანაგებო, უკრაინელ დებო და ძმებო, უკრაინის სსრ რესპუბლიკაა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშებო, მუშა ქალებო, ინჟინერ-ტექნიკოსებო!

მხურვალედ მოგესალმებით და მოგილოცავთ სახელოვანი და მშობლიური წითელი არმიის მიერ უკრაინის მიწა-წყლის წარმატებით განთავისუფლებას კაცობრიობის ჰიტლერელ დამპყრობთა ურღვნებისაგან. ჩვენი გული სიხარულით აღსავსეა ყოველი ცხობის მიღებასას, როცა ვტყობილობთ უკრაინაში მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენი წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებებს, როცა რადიოს მოაქვს აღშფოთოთვანებელი ამბავი უკრაინის სოფლებისა და ქალაქების განთავისუფლების შესახებ. ჩვენი გული აღსავსეა სიამოვნის გრძნობით იმის გამო, რომ მტრის ურდოებისაგან უკრაინის მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის თავდადებულად ებრძვიან საერთოველოს შვილებიც.

ფრონტზე ჩვენი შვილების საგმირო საქმეებს ჩვენ ვუპასუხებთ ზურგში თავდადებული შრომით. ამ შრომაში ჩვენ გვაფრთოვანებს და ენერგიას გვმატებს ხალხთა საყვარელი ბელადის, წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორის, დიდი მხედართმთავრის ბრძენი სტალინის სახელი. დიდი სტალინის ბრძნული მითითებებით შთაგონებულნი ჩვენ მაღალნაყოფიერად ვმუშაობთ. ჩვენი მრეწველობა სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ფრონტსა და სამშობლოს გამარჯვებისათვის საჭირო პროდუქციას. სამამულო ომის დღეებში ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაზე მეტყველებს ის, რომ ჩვენი რკინიგზელები თვეების განმავლობაში ინარჩუნებენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. ბევრი რკინიგზელი დაჯილდოებულია მთავრობის მაღალი ჯილდოთი — ორდენებითა და მედლებით, ხოლო ოთხ მათგანს — ა.-ა. რკინიგზის უფროსს მოძრაობის პირველი რანგის გენერალ-დირექტორს გ. კოკანაძეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ა. წიკლაურს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნიკო გელაძეს და სახელოვან ლუნინელ მემანქანეს შალვა კოხრეიძეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

სამამულო ომის განვლილ მძიმე დღეებში ჩვენ მუდამ გვახსოვდით, ამხანაგებო, და როგორც საკუთარ ტკივილს განვიცდიდით ჰიტლერელ დამპყრობთაგან ჩვენი უკრაინის მომძე ხალხისათვის მოყენებულ ტანჯვებს.

ჩვენს ქვეყანაზე გერმანელი ფაშიტ დამპყრობლების მუხანათური თავდასხმის დროს საზღვარმა მტერმა მოახერხა დროებით ხელში ჩაეგდო უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონი. დიდი სამამულო ომის დღეებში უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა შეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ეკიპირებულმა წევრებმა თავშესაფარი ჰპოვეს მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლენინის ორდენოსანი ამხ. ვ. ორაგველიძე და კოლმეურნეობის წევრები უდიდესი მზრუნველობით ეპყრობოდნენ გენიჩესკის რაიონიდან ჩამოსულ ძმებსა და დებს. შრომელი კოლმეურნეები ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ მომძე უკრაინელებს.

სოფ. შრომის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას გმირი წითელი არმიის მიერ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის განთავისუფლების შესახებ. ამ ცნობის მიღებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგი. კოლმეურნეობის წევრებმა ერთსულოვანი აზრი გამოსთქვეს, რომ ყოველმხრივ დახმარებოდნენ მომძე უკრაინელ კოლმეურნეებს ფაშისტი ანრაზდების მიერ მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. შრომელმა კოლმეურნეებმა შეაგროვეს და მომძე კოლმეურნეებს გაუგზავნეს სურსათი, საოჯახო ნივთები და სხვ. გარდა ამისა, გენიჩესკის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის აღსადგენად კოლმეურნეობამ გამოჰყო 4 ბუღა, 7 ცხენი, 6 ძროხა, 6 სული ღორი და სხვ.

სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ ორაგველიძე ფრონტზე მყოფი მომძე უკრაინელებისაგან, უკრაინის ახალგათავისუფლებულ რაიონებიდან და გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან უამრავ წერილებს იღებს. ამ წერილებში გამოთქმულია უდიდესი მადლობა მახარაძელი კოლმეურნეებისადმი და ის ძმური სიყვარული, რომლითაც არიან გამსჭვალულნი მომძე უკრაინელები.

ამ დღეებში შრომის კოლმეურნეობას უკრაინიდან ესტუმრა გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ივანე სტეფანესიძე ლავრენტიევი. მან თან მოიტანა მეგობარ კოლმეურნეთა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ძვირფასო ამხანაგებო! გაზეთებიდან შეიტყეთ თქვენი ჩვენდამი ზრუნვა. ბევრი ჩვენგანი, მაგალითად, ვასილ ლავრენტიევი და სხვები, თქვენთანაც ყოფილან და დიდად კმაყოფილი დაბრუნდნენ. თქვენგან წერილებიც მოგვდის. დიდი მადლობა, რომ ჩვენთვის შეიგროვებიათ სურსათი, საოჯახო ნივთები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. გამოგიყვანათ პირუტყვი, რასაც ახლო ხანში მივიღებთ. ჩვენი მეგობრობა კვლავ მტკიცე და ურყევი იქნება“.

ყოველივე ეს მოწმობს ხალხთა სტალინური მეგობრობის დიად ძალას, ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს. ეს მეგობრობა კიდევ უფრო გამოიწრთო დიდი სამამულო ომის დღეებში.

თ. ვანიძე

უკრაინელ ფიზკულტურელებს

ძვირფასო ამხანაგებო, მომძე უკრაინის ფიზკულტურელო ქალებო და ვაჟებო!

საბჭოთა საქართველოს ფიზკულტურელები უდიდესი სიხარულით ხვდებიან ყოველ ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ ათავისუფლებს საბჭოთა უკრაინის მიწა-წყალს ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ახლა, როცა კიევი ფრაზეს ეუბნება იმით, რომ მომძე უკრაინის დედაქალაქის განთავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მამაც შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის საბელოვანი შვილები — გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე, საბჭოთა კავშირის გმირები: ი. ციცოშვილი, ა. ტერელაძე, ვ. ბეროშვილი, კ. ტყაბლაძე, პ. წოფარიძე, გ. გოცირიძე, გ. ბუაჩიძე, ლ. ჩუბინიძე, ვ. ჩხაიძე და სხვ.

გაზეთ „საბჭოთა უკრაინაში“ დაბეჭდილ პ. სეევროვის წერილში — „უკანასკნელი ორთაბრძოლა“ მოყვანილია ფაქტმა, კიეველ ფეხბურთელთა გერაგულმა დახვრეტამ გერმანელი ფაშისტების მიერ უსაზღვრო აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა შორის. ფაშისტი ჯალათების ხელით დაიღუპნენ საბჭოთა **სპორტის ხუროთმოძღვრები** — ტრუსევიჩი, კუზმინკო, ტიტარენკო, კლიმენკო და სხვ., რომლებსაც იცნობდნენ და უყვარდათ საქართველოში. ისინი მამაცურად დაიღუპნენ სამშობლოსათვის. საბჭოთა ადამიანები არასდროს არ დავიწყებენ მათ და ყველაფერს გააკეთებენ, რათა უკეთ გამირების სახელი და დიდება.

თ. სხირტლაძე (საქართველოს სსრ სახ. კომიტეტთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), გ. ეგნატაშვილი (სპორტის დამსახ. ოსტატი), ელ. გოკიელი (სპორტის ოსტატი, ორდენოსანი), გ. რცხილაძე (სპორტის დამსახ. ოსტატი, ორდენოსანი), ბ. პაიჭაძე (სპორტის ოსტატი, ორდენოსანი), ნ. დუმბაძე (სპორტის დამსახ. ოსტატი, მსოფლიო რეკორდსმენი), ა. ჯოხაჯაძე (სპორტის დამსახ. ოსტატი, ორდენოსანი), გ. ჯეჯელავა (სპორტის ოსტატი, ორდენოსანი), შ. შავგულიძე (სპორტის დამსახ. ოსტატი, ორდენოსანი).

მოკვეთი არმია. (უკრაინის მე-3 ფრონტი). სურათზე: ნ. ჯავშნიანი მატარებლის უფროსის სერჟანტ ნ. ხობოლევის ქვეშების გუნდი უშენს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს.

ფოტო ი. ჩერნიშეევისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ალ. სხილაძე

საქ. კ. პ. (ბ) ჰიატურის საქალაქო კომიტეტის მდივანი

პოლიტიკური აგიტაცია მეჯი მარგანეცისათვის ბრძოლაში

ჰიატურელმა მაღაროელებმა გასულ წელს მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დაზადების დაგეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და ზედიზედ გამარჯვებულნი გამოვიდნენ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთა შორის საკავშირო შეჯიბრებაში.

დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა პასუხად ჩვენი ქალაქის მშრომელები ახალ შრომითს აღფრთოვანებას განიცდიან.

ჰიატურელმა მაღაროელებმა სერიოზული მუშაობა გაუწიეს ელექტროენერგიის, სამაგრი, ასაუთქებელი და საწვავი მასალების მომარაგების გეგმის ხარისხობრივად შესრულებისათვის. წარმატებით სრულდება გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ამ წარმატებათა მოპოვებაში ჰიატურელ მაღაროელებს დაეხმარა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლა.

ერთი წლის მანძილზე მარგანეცის საწარმო-დანუსებულებებში ჩატარდა 485 ლექცია, მოხსენება და კონსულტაცია, რომელსაც 24.235 კაცი დაესწრო. მაღაროებში ტარდება აგიტატორთა ზონალური თათბირები, სადაც აგიტატორებს ეძლევათ კონკრეტული მითითებანი. ამას წინათ ქალაქკომმა გამოიყო გამოცდილ პროპაგანდისტთა სამი ბრიგადა. მათ შეამოწმეს აგიტატორთა მუშაობა ყველა მაღაროში. სულ ბოლოს აგიტატორები ლიპარიძეს, ქ. ბიწაძეს, ქ. შეგრელიშვილს, გ. ნეფარიძეს, მათ მაგიერ შეირჩეულ იქნენ უფრო მოძრავი აგიტატორები. ასეთი ღონისძიება გავატარეთ ლენინისა და სტალინის სახელობის ჭარხანა-მაღაროებშიც.

მარგანეცის ქალაქში 17 აგიტკოლექტივი არსებობს. მათ ხელმძღვანელთა უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა. ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ აგიტაციის მაღალი ხარისხისათვის.

მარგანეცის ქალაქის საწარმო-დანუსებულებში ამჟამად 238 აგიტატორია და 200-მდე მესაუბრე-წამკითხველი ეწევა მუზნებარე აგიტაციას. მათი უმრავლესობა ომის დღეებში გახდა აგიტატორი. ისინი არა მარტო დამაჯერებელ, მიზნადელ და საქმიან საუბრებს ატარებენ მაღაროელთა შორის, არამედ პირველ რიგში თვითონ იძღვიან სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს.

სტალინის სახელობის მაღაროს ბევრი წარჩინებული აგიტატორი ჰყავს. მაღაროს მეოთხე უბანში აგიტატორად მუშაობს ამავე უბნის გამგე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი ტროფიმ ფოფხაძე. მისი საუბრები მიზნადელი და საქმიანია. ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო საკითხებთან ერთად ამხ. ფოფხაძე საგიტაციო საუბრებში განსაზღვრულ დროს უთმობს საწარმოო საკითხებს და ამგვარად უბნის კოლექტივს რამდაც მეტი მარგანეცის დამოებებისათვის. ამხ. ფოფხაძე წარმოების შრომისმოყვარე და გულისხმიერი მეთაურია. თუ მეოთხე უბანი მარგანეცის გამოღების დაგეგმას გადაჭარბებით ასრულებს, ამაში მკვირე წვლილი რიდი მიუძღვის ამხ. ფოფხაძეს, როგორც უბნის გამგეს და აგიტატორს. ამ უბნის მუშები ამხ. ხ. ოთინაშვილი, მ. დარბაიძე, ს. სერგეევი, ლ. გრძელიშვილი მარგანეცის მრეწველობაში სახელოსნეებით სტახანოვეულად ითვლებიან. ამხ. ფოფხაძე ყოველდღიურად ზრუნავს აგრეთვე წარმოებაში ახალმოსული მუშების აღზრდისათვის.

კარგი აგიტორატეტით სარგებლობს აგიტატორი ბ. ჩხეიძე. ეს აგიტორიტეტი მან თავის თავზე სერიოზული და გულმოდგინე მუშაობით მოიპოვა. ამხ. ჩხეიძე წინასწარ ემზადება საუბრისათვის. ამით ითვსნება, რომ მის საუბრებს ყველა ინტერესით და გულისყურით უსმენს. ამხ ჩხეიძის საუბრები სწვდება სოციალისტური შეჯიბრების, შრომის დისციპლინის, მოშპარნეობის, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. ცუდ აგიტატორებად როდი ითვლებიან აგრეთვე ინჟინრები ამხ. გ. ჭოიავა, ზ. ოყროშიძე, ალ. გამყრელიძე.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში მოწინავე აგიტატორებად ითვლებიან უბნის გამგეები ამხ. მ. კენჭოშვილი და ს. კალაძე. ისინი გამოცდილი აგიტატორები არიან. აგიტაციას საწარმოო საკითხებს უკავშირებენ. დასასიათებელია, რომ მათი უბნები თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებენ მარგანეცის გამოღების გეგმებს. აგიტატორობა ინჟინერმა ამხ. ს. კალაძემ შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერებისას მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა; მოახდინა სანგრევების გადაჯგუფება, ლავებში გაიუმჯობესა საზიდები. ამით უბანში 6 კაცი შემცირდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება ეერიოზულად გაიზარდა.

აგიტატორებმა ამხ. ა. მოდებაძემ და არ. ნიკოლაძემ, რომლებიც ინჟინრები არიან, ჭარხნის კოლექტივი მაღალხარისხოვანი პროფესიდებისათვის საბრძოლველად დარაზმეს, ტექნიკური ღონისძიებანიც გაატარეს. ამას უნაყოფოდ როდი ჩაუვლია. მნიშვნელოვნად გადიდდა პროდუქციის რაოდენობა და გაუმჯობესდა ხარისხი.

აგიტატორი ამხ. გ. ბუაძე წარმატებით იბრძვის ელექტროენერგიის დაზოგვისათვის. მან არა ერთი დიდძალიანი ტრანსფორმატორი და ელექტროძრავი შეასცალა მცირეძალიანით და ამით 234.408 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა.

პირადი მაგალითის მაჩვენებელი არიან აგრეთვე აგიტატორები მბურღავი ამხ. გ. ჭილაძე, ამწეშენი ა. გაფრინდაშვილი და ხარატი ი. კაპანაძე.

საქალაქო პარტკაბინეტთან შექმნილი აგიტბრიგადა, რომელმაც საწარმოებში 15 გასვლა მოაწყო, ამას წინათ აგიტბრიგადა იყო ორჯონიკიძის სახელობის ჭარხნის მაღაროში. ჩატარდა საუბარი სამამულო ომის მიმდინარე მოვლენებზე, წარმოებაში რაციონალიზაციის საკითხებზე, ომში პირველ საექიმო დახმარებაზე და სხვ.

ქალაქკომი სათანადო ყურადღებას უთმობს თვალსაჩინო აგიტაციას. მაღაროებსა და ჭარხნებში გამოკრულია ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც მუშებს მოუწოდებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისაკენ, ელექტროენერგიის, საწვავის, მასალების მომჭირნეობისაკენ, ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ.

ყველა ჭარხანა-მაღაროში გაჩაქს სპეციალური დაფები, სადაც ოწერება მოწინავე ადამიანები, ცვლები, უბნები და მათი მჭიდენებლები. ქალაქის ცენტრში მოწყობილია მარგანეცის წარჩინებულ ადამიანთა ფოტოსურათების გამოფენა. ფოტოტიტრინა მოწყობილია აგრეთვე რკინიგზის სადგურზე. ქალაქის თვალსაჩინო ადგილებზე და ყველა ჭარხანა-მაღაროში მოწყობილია საგაზეთო ვიტრინები.

მარგანეცის ქალაქის აგიტატორები თავდადებულად, შეუპოვრად მუშაობენ მეტი მარგანეცის გამოღებისათვის, მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი.

ზოგიერთ ჭარხანა-მაღაროში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ამითაც აიხსნება, რომ მარგანეცის ყველა საწარმოში წარმატებით ვერ დაიწყო ახალი სამეურნეო წელი. ეს პირველ რიგში ითქმის იმ მაღაროზე, სადაც დირექტორად არის ამხ. ს. ჯაფარიძე, ხოლო პარტბიუროს მდივნად ამხ. ა. ჯაოშვილი. ამ მაღაროს მარგანეცის გამოღების იანვრის გეგმა მხოლოდ 94,9 პროცენტით შესრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დაზადებისა — 86,3 პროცენტით. აქ სუსტად მუშაობენ აგიტატორები ლ. არსენიძე და ზ. ლეჟავა. ისინი თავიანთ თავზე არ მუშაობენ, აგიტაციას ზერელედ და უშინაარსოდ ატარებენ. ამითაც აიხსნება, რომ ეს უბანი, რომელსაც ამხ. არსენიძე ხელმძღვანელობს, დანაკლისით ასრულებს მარგ

მეორე სტალინგრადი დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გერმანელ ფაშისტთა გარშემორტყმული ჯგუფების ლიკვიდაცია. სურათზე: ბრძოლის შემდეგ სოფელ შენდეროვკის რაიონში. მტრის განადგურებული ტექნიკა.
ფოტო ი. ოზერსკისა (საკდესი).

არ დავუშვათ კოლმეურნეობებში შრომადღეების განიავება

საქართველოს კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ, რომ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული მრეწველობისათვის, დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი და მოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა. ეს მოწმობს საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას. იქ, სადაც განუხრელად ანხორციელებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას, შეინიშნავ წარმატებებს აღწევენ კოლმეურნეობათა მეურნეობრივად განმტკიცების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია და მისი განუხრელად განხორციელება კოლმეურნეობათა გამგეობების, ყველა კოლმეურნის წმიდათა-წმიდა მოვალეობას შეადგენს.

მაგრამ ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ეხვდებით შრომადღეების განიავებას, ეს კი სასოფლო-სამეურნეო არტელის სანამუშო წესდების დამახინჯებაა. საკოლმეურნეო მოსავლისა და შეპოსავლის დროულად და სწორად განაწილება კოლმეურნეობათა არსებითს მოვალეობას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როცა შრომადღეების განიავებას აქვს ადგილი, მცირდება შრომადღეებზე გასაცემი ნატურალური და ფულადი შემოსავლის ხვედრი. ამის დაწყება კი ყოველად შეუწყნარებელია.

ზოგიერთი რაიმოწვანის მუშაკები არა თუ არ ებრძვიან ცალკეულ კოლმეურნეობებში შრომადღეების განიავების ფაქტებს, არამედ ხელსაც კი უწყობენ ამ აშკარად არასწორ მოქმედებას. ჩხარის რაიმიწვანის ^ თანამშრომლს თავიანთი მომსახურების ზონის კოლმეურნეობებიდან ყოველთვიურად ერიცხებოდათ შრომადღეები. მაგალითად, რაიონის ვეტექიმს ივანოვს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობიდან თვეში ერიცხებოდა 27 შრომადღე, ჯუბანის ვეტექიმს კირკიტაძეს—27 შრომადღე, ანალოგიურად ერიცხებოდათ შრომადღეები მიწვანის სხვა მუშაკებსაც. ხაშურის და წითელწყაროს რაიონებში კოლმეურნეობებიდან შრომადღეები გრაცხებათ რაიმიწვანის თანამშრომლებს—ინსპრუქტორ ბუხჰალტერებს, ვეტექიმებს და სხვ. შრომადღეების არასწორად დარიცხვას ეხვდებით ავრეთვე ცაგერის რაიონის სოფ. ლესბანის და სოფ. ლისინდის კოლმეურნეობებში, ამ კოლმეურნეობებში შრომადღეებს ურიცხავენ რაიმსაგზაო განყოფილების რწმუნებულსაც კი.

შრომადღეების განიავების ფაქტება ვხვდებით აგრეთვე ხობის რაიონში, ამ რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში შრომადღეები დაურიცხეს იმ კოლმეურნეებს, რომლებიც მუშაობენ ხე-ტყის ჰრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამუშაოებზე. არასწორად იქცევიან აგრეთვე საგარეჯოსა და ქასპის რაიონებში, როდესაც, შრომადღეებს ურიცხავენ ფოსტის იმ დამტარებლებს, რომლებიც ხელფასს იღებენ. მახარაძის, საშორის, საჩხერის, ქარელის ზოგიერთ კოლეურნეობაში შრომადღეებს ურიცხავენ მუხლებრეებს, რაც აშკარად სწორი არ არის.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ, რათა არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული კოლმეურნეობებში შრომადღეების განიავება.

XVII საუკუნის უცნობი ხელნაწერი

ამას წინათ სახელმწიფო არქივების სამმართველომ შეიძინა XVII საუკუნის შუა წლების დღემდე უცნობი ხელნაწერი კრებული. ეს იშვიათი წიგნი, რომელსაც შუხის ფიცრების ტყავგადაკრული ყდა აქვს, მიჯრილი ხელით ნაწერ 192 ფურცელს შეიცავს.

ხელნაწერი შეიცავს „ნოვი ლეტოპისეცის“ სრულ ტექსტს და კიდევ 100 მოკლე სამეტიანო ჩანაწერს, დაწყებული კიევის დიდი მთავრის ვლადიმერის მონათლვით გათავებული 1.643 წლით.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ჩანაწერები ეგრეთწოდებული „შფოთიანი დროის“ (1606–1612 წლების) შესახებ. ამ წლებისადმი მიძღვნილი თავები დაწერილია დაწერილებით და ხელნაწერის ძირითად ნაწილს შეადგენს. უსახელო მემატიანე გვაუწყებს ჩვენი გმირი წინაპრების მინინისა და პოჟარსკის შესახებ, უცხოეთის ინტერვენციასთან რუსი ხალხის ბრძოლის შესახებ.

(საკდესი).

საქართველოს სსრ 1944 წლის სპორტული კალენდარი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა 1944 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი.

კალენდარში შეტანილია ფიზკულტურისა და სპორტის ყველა ძირითადი სახე: სათოსაოსნილმაური სპორტი, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ხელსართული ბრძოლა, ელოსპორტი, კრივი, ფრანგული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, სმძიმეების აწევა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ჰადრაკი და შაში, ნოტოსპორტი, სასროლო სპორტი, საცხენოსნო სპორტი, ალპინიზმი და კომპლექსური ღონისძიებანი.

მრავალფეროვანი სპორტული კალენდარი თვალისწინებს შეჯიბრებებს ცალკეულ სასპორტო საზოგადოებათა პირველობაზე, რაიონულ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს, წონაწყლობას საკავშირო შეჯიბრებებში. ფართო ადგილი აქეს დათმობილი საწყებლო-საწვრთნელ შეკრებებს, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ რესპუბლიკის სპორტსმენთა და მსაჯთა სპორტულ ოსტატობას, მათს კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა აგრეთვე მოსწავლეთა სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებას, სოფლად ფიზკულტურულ ღონისძიებათა ფართოდ ჩატარებას, სპორტის ხალხურ-ნაციონალურ სახეებს და სხვ.

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მომდინარე წელს სპორტული შეჯიბრებები არა მარტო საინტერესო სპორტული სანახაობაც იქნება, არამედ ისინი მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზკულტურული მომზადების საქმეში.

დეკეშები

საბჭოთა სამხედრო მისიის ჩასვლა იუგოსლავიაში

კაირო, 6 მარტი („იზვესტიის“ საკ. კორ.). ამ დღეებში იუგოსლავიაში ჩავიდა საბჭოთა სამხედრო მისია გენერალ-ლეიტენანტ კორნეევის მეთაურობით და კონტაქტი დაამყარა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალ ტარზალ ტიტოსთან.

(„იზვესტია“, 7 მარტი).

მარსელში მოკლეს ღორიოჭისჭთა ბანდის მეთაური

ჟენევა, 7 მარტი (საკდესი). შვეიცარული გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევ“ იუწყება, რომ მარსელში ბომბის აფეთქებით მოკლულია დორიოტისტთა ადგილობრივი ორგანიზაციის მეთაური. ბომბი აფეთქდა დორიოტისტთა შტაბის შენობაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 11 მარტი (საკდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იტალიაში იუწყება, რომ ადრიატიკის ზღვაში გრძელდება საომარი ოპერაციები. 8 მარტს ღამით ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა დაუშინეს გერმანელების მიერ ოკუპირებული კორჩულის კუნძულის ქალაქებს (იუგოსლავიის სანაპიროსთან). იმავე ღამეს ნერეტლიას სრუტეში (ხვარის კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირსა და იუგოსლავიის სანაპიროს შუა) სანაპირო დაცვის მსუბუქმა ხომალდებმა ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის პატარა საკაბოტაჟო გემს.

იტალიის ფრონტის ყველა უბანზე პატრულები მოქმედებდნენ.

მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა თავდასხმებს ჰიტლის სამხედრო ობიექტებზე.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 11 მარტი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან ფრონტის მთელ უბანზე სლოვენიაში. ლიუბლიანის მიდამოებში მომხდარ ბრძოლებში მოკლულ იქნა 500 ჰიტლერელი, მოსპობილ იქნა 3 ჯავშნიანი მატარებელი, 2 ჯავშნიანი მანქანა, ტანკი, 11 სატვირთო ვანქანა და მატარებელი სამარ მასალიანად. ლიუბლიანა-კოჩევიეს უბანზე პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდძალი დაცვა და რამდენიმე ადგილას დაანგრიეს რკინიგზის ლიანდაგი. სამ სოფელში მოსპობილია ჰიტლერელთა გარნიზონები.

ტრიესტის მიდამოებში სლოვენელმა პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 2 მატარებელი.

უცხოეთის ქრონიკა

ჰიტლერულმა ტრაბუნალმა პრაღაში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა 10 ჩეხს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ იარაღის შენახვა და იმ პირებისათვის თავშესაფარის მიცემა, რომლებიც გესტაპოს ემალებიან.

• • •

საფრანგეთში გერმანიის ოკუპაციის მთელი ხნის განმავლობაში ყოველ ას ფრანგზე მოდის ერთი დაპატიმრებული, ყოველ ათასზე კი — ერთი დახვრეტილი. სულ ოკუპაციის პერიოდში დაპატიმრებული იყო 400 ხალხი და დახვრეტილი იყო 38 ათასი ფრანგი. გარდა ამისა, 75 ათასი კაცი გაგზავნილი იყო გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში.

• • •

ამ დღეებში ჰიტლერელებმა ჰოლად გადასწვეს რამდენიმე სოფელი ზემო სავოიის დრომის დეპარტამენტში. ენის დეპარტამენტში მოხდა შეტაკება ჰიტლერელთა ჯარის რაზმსა და პარტიზანებს შორის. მიუხედავად ამისა, რომ ჰიტლერელებს ჰქონდათ არტილერია, პარტიზანებმა დახოცეს 30 გერმანელი, მათ შორის 12 ოფიცერი, და დასჭრეს 60 კაცი. გაიფთრებულმა ოკუპანტებმა გერმანელი გენერლის ბრძანებით დასწვეს 400 სახლი და დახოცეს რამდენიმე ათეული სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრები. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელმა სესიამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებად აირჩია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უბანზე სლოვენიაში. ლიუბლიანის მიდამოებში მომხდარ ბრძოლებში მოკლულ იქნა 500 ჰიტლერელი, მოსპობილ იქნა 3 ჯავშნიანი მატარებელი, 2 ჯავშნიანი მანქანა, ტანკი, 11 სატვირთო ვანქანა და მატარებელი საომარ მასალიანად. ლიუბლიანა-კოჩევიეს უბანზე პარტიზანებმა დახოცეს 30 გერმანელი, მათ შორის 12 ოფიცერი, და დასჭრეს 60 კაცი. გაიფთრებულმა ოკუპანტებმა გერმანელი გენერლის ბრძანებით დასწვეს 400 სახლი და დახოცეს რამდენიმე ათეული სრულიად უდანაშაულო მშვიდობიანი მცხოვრები. (საკდესი).

აკადემიკოსი ბოგოლიუბოვი სწერს:

„დიდ მადლობას ვუძღვნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მაღალი პატივისცემისათვის—აკადემიის საპატიო წევრად ჩემი არჩევისათვის. მხურვალედ ვუსურვებ აყვავებას მომავალ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას“.

ნ. რიმსკი-კორსაკოვის დაბადების 100 წლისთავისათვის

18 მარტს 100 წელი სრულდება რუსეთის დიდი კომპოზიტორის ნ. რიმსკი-კორსაკოვის დაბადებიდან. საქართველოს მუსიკალური საზოგადოებრიობა უკვე ემზადება ამ დღისათვის. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი იუბილეისათვის აღადგენს ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლეს“, რომელშიც მთავარ როლებს შეასრულებენ სახალხო არტისტები ნ. ცოფია და ს. ინაშვილი, დამსახურებული არტისტები ა. ჩაკადიდი, გ. გრიგორაშვილი, ზ. სვანიძე და ვ. ხმაშურიძე, მსახიობები ნ. გალაქტიონი, ა. სტეფანიანი და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ამზადებს ლიტერატურულ-მუსიკალურ მონტაჟებს ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერებიდან: „სნეგუროჭკა“, „ოქროს მამალი“, „ზღაპარი მეფე სალტანზე“, „მაისის ღამე“ და „მოცარტი და სალიერი“, ავრეთვე ნ. რიმსკი-კორსაკოვის კამერულ და საბავშვო ნაწარმოებთა კონცერტების ციკლს.

თბილისში საიუბილეო ზეიმი შესდგება ოქტომბრის, 20 მარტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. საღამო გაიხსნება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის შ. მშველიძის შესავალი სიტყვით. მოხსენებას ნ. რიმსკი-კორსაკოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს პ. ხუჭუა. ამის შემდეგ გაიმართება სიმფონიური კონცერტი, მიძღვნილი ნ. რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებისადმი. შესრულებული იქნება სუიტა „მეფე სალტანიდან“, ოპერა „ოქროს მამლის“ შესავალი, „ესპანური კაპრიჩიო“ და ავრეთვე არიები ოპერებიდან.

კონცერტზე სოლისტებად გამოვლენ სახალხო არტისტები ნ. ცომაია, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი და დამსახურებული არტისტი ნ. ხარაძე, დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი.

ნ. რიმსკი-კორსაკოვისადმი მიძღვნილი კონცერტები გაირდა თბილისისა, გაიმართება ქუთაისში, გორში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, ავრეთვე სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში.

„მებრძოლის დღე“ საშეფო ჰოსპიტალში

თავის გამოსასვლელ დღეს რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივი საჩუქრებით ეწვია საშეფო ჰოსპიტალს. გარდა შემოქმედებითი მუშაკებისა აქ იყვნენ თეატრის ხელოვნები, მკერავები, დამლაგებლები, პარიკმახერები, მღებავები, ელექტრომონტიორები, პიანინოს ამწყობები. თეატრის კოლექტივმა, რომელიც ბრიგადებად იყო დაყოფილი, მთელი ეს დღე გვიან საღამომდე საშეფო ჰოსპიტალში გაატარა.

ბრიგადებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა და ა. ვასაძე, საქ. სსრ სახალხო არტისტები დ. შავია და ე. აფხაიძე, თეატრის დირექტორი პ. მურღული, მაჭირეო შებრძოლება დაურიგეს საჩუქრები: ხელის საპონი, მანდარინი, ხმელი ხილი, კონსერტი და საწერი ქაღალდი, ფანქარი, თამბაქო და ჰპიროსი, ამავე დროს ესაუბრნენ დაჭრილ მებრძოლებს.

შეკეთებულ იქნა 50 საწოლი, მსახიობმა ქალებმა დაალაგეს და დაასუფთავეს ორი კორპუსი, შეჰკერეს 62 ცალი ხალათი, 15 ლეიბი, 40 ცალი ნაბდის ფოსტლები, დაჰკერეს და დაათოვეს 20 ცალი ზეწარი, სახაფხულო საბნები. ელექტრომონტიორებმა შეამოწმეს ჰოსპიტლის ელექტროგაყვანილობა, დურგლებმა შეაკეთეს კლუბის იატაკი, გააკეთეს 2 ფარდა და მრავალი სხვა სამუშაო იქნა შესრულებული.

მსახიობთა ერთმა ჯგუფმა გამოუშვა ამ დღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

მსახიობ ქალთა ჯგუფმა, ა. თოიძის, ე. კედიასა და ნ. ლაფაჩის შემადგენლობით, პალატებში ჩაატარა მხატვრული კითხვა.

საღამოს, როცა ბრიგადებში მუშაობა დამთავრეს, თეატრის შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. კონცერტის წინ დაჭრილმა მებრძოლებმა სიტყვები წარმოსთქვეს. მათ მადლობა გადაუხადეს თეატრის კოლექტივს მზრუნველობისათვის და პირობა დასდეს, რომ გაუძანძაღეს შემდეგ გაორკეცებული ძალით იბრძოლებენ სახიზღარი მტრის — გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ შავგულიძემ, დამსახურებულმა მსახიობებმა საროსაძემ და ჯაფარიძემ, ნ. ვ. ალეკსი-მესხიშვილმა, ო. დოლიძემ, ა. კუპრაშვილმა, თეატრის კვარტეტმა ალიოშინის ხელმძღვანელობით.

ღამის 11 საათზე დამთავრდა „მებრძოლის დღე“ საშეფო ჰოსპიტალში.

საქართველოს ისტორია აფხაზეთის სამშაალო სკოლებში

სოხუმი, 10 მარტი (საკდესი). მომდინარე წლის შუა იანვრიდან აფხაზეთის საშუალო სკოლების მეათე კლასებში შემოღებულია საქართველოს ისტორიის სწავლება. რესპუბლიკის სკოლების მოსწავლენი დიდი ინტერესით და სიყვარულით სწავლობენ ქართველი ხალხის გმირულ წარსულს.

ამას წინათ აფხაზეთის განსაკომმა შეამოწმა საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების დაყენება საშუალო სკოლებში, რამაც ცხადჰყო, რომ ამ საგნის შესწავლა სკოლების უმეტესობაში მაღალ დონეზეა. საქართველოს ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული სოხუმის ქალთა პირველ საშუალო სკოლაში და გუდაუთის ქართულ საშუალო სკოლაში.

ქართულ პედაგოგიურ სასწავლებელში სტუდენტებს შორის მოწყობილია საქართველოს ისტორიის შემსწავლელი სპეციალური კურსები.

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადა

საქ. ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა მიიღეს დადგენილება ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებისა და ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

დადგენილების თანახმად, ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში უნდა ჩატარდეს ა. წ. 20 მარტიდან 1 აპრილამდე, ხოლო სარაიონო, საქალაქო და საოლქო ოლიმპიადები სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ.

საქ. ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა დაავალეს კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და განათლების ორგანოებს აქედანვე შეუდგნენ ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებასა და ოლიმპიადისათვის მზადებას და უზრუნველყონ დათვალიერებისა და ოლიმპიადის სათანადოდ ჩატარება.

თბილისის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის მუშაკთა დაჯილდოება

გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა თბილისის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის 27 მუშაკი დააჯილდოვა მკერდის ნიშნით „სახალხო რკინიგზელს“ იმ თვალსაჩინო მუშაობისათვის, რაც მათ ჯასწიეს დიდი სტალინის შესახებ ვაგონ-გამოფენის ასაშენებლად, მოსაწყობად და სამაგალითო მუშაობისათვის რკინიგზელთა ბავშვების აღსაზრდელად.

დაჯილდოებულთა შორის არიან ვაგონგამოფენის ლექტორები. ა. დებუროვი და ი. გოძიაშვილი, მხატვარი ტ. გორბუზენკი, კონსტრუქტორი ვ. კაპარი, მშენებლობის ხელმძღვანელი კაშია. თეატრის მსახიობთა კოლექტივიდან დაჯილდოებული არიან ამხ. ო. ბელენკო, მ. ბუბუტაიშვილი, ჩ. კირთაძე, ვ. ხაჩიბაია, ლ. ლევსკი. თეატრის სახ. ხელმძღვანელი ნ. მარშაკი, პედაგოგი ვ. ვ. ვოინო და სხვები.

ივანე ფალიაშვილის ხსოვნის კონცერტი

12 მარტს, დღის 3 ს. 15 წ. საჭრელიოკომიტეტი აწყობს გადაცემას, მიძღვნილს დიდი ქართველი ივ. ფალიაშვილის ხსოვნისადმი, მისი ვარდაცვალების 10 წლისთავის შესრულების გამო. ი. ზურაბიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ გადმოცემული იქნება კონცერტი იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც დამუშავებული და დირიჟორებულია ი. ფალიაშვილის მიერ.

საქ. საჯარო ბიბლიოთეკაში

13 მარტს, სალამოს 7 ს., საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. № 5) შედგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: „დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“. ბილეთების შეძენა შეიძლება ბიბლიოთეკის რედაქტორატურაში. მთელი შემოსავალი გადაეცემა წითელარმიელთა ოჯახებს.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ბ. ჯიბლაძე

თეატრებში

12 მარტს: სახპერა—დილით „ეშვები ონავინი“, საღამოს—„ჭეთი და ქოტე“ **რუსთაველის**—დილასა და საღამოს—„სპასკაიას აფიშით“. **მარჯანიშვილის** — დილით—„რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, საღამოს—„ჰირველი ცოლის მორჯულება“. **გრიბოედოვის**—დილასა და საღამოს—„სამი და“.

კინოებში

12 მარტს: რუსთაველი და **ოქტომბერი**—„ერთი ოჯახი“. **დამკვრელი** — „ფრონტი“. **კომკავშირელი** — „სიმღერა სიყვარულზე“. **ლუქსემბურგის სახ.** — „ნარინჯის ველი“. **სპარტაკი** — „მეორე და მწყემსი ქალი“. **26 კომ. სახ.**—„მოგდებული ბავშვი“.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს 1½-წლიან საგუნდო კურსებზე მიღებას. კურსებზე მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის ორივე სქესის პირნი არანაკლებ 7-წლიდის ცოდნისა. ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან: ა) უფასო სწავლით, ბ) სტიპენდიით 200 მანეთის ოდენობით თვეში, გ) დახურული სასადილო ოთი, დ) კურსის დამთავრების შემდეგ ჩარიცხებიან სახოპერის თეატრში გუნდის მსახიობად.

განცხადებები მიიღება 25 მარტამდე. წარმოდგენილ უნდა იქნას: სწავლის მოწმობები, მეტრიკული ამონაწერი, ავტობიოგრაფია, 2 ფოტოსურათი და განცხადება.

დამწერლობითი ცნობები სახკონსერვატორიაში: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8, გუნდის ინსპექტორ ამხ. გ. ვ. კაპანაძესთან. ტელ. № 3—61—47.

დირექცია

ც. ტატინაშვილი, ჯ. და ტ. ღამბაშიძეები, ო. ცუცუნაშვილი, ვ. ჭიაშვილი, ვ. გორდაძე იუწყებიან მარგო მჭედლიძის დედის **ეკატერინეს** გარდაცვალებას. 288

პატარიძე, ქებაძე, იშჩენკო, სენიუკი, ხუჭუა, ჯაფარიძე, ჩიჩუა, ნიქაბაძე, ჩიკოიძე, ლობჟანიძე, ქურთაშვილი, ჩოკვაიე იუწყებიან აკად. **ა. ჯანელიძის** მეუღლის **რუსუდანის** გარდაცვალებას. 277

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი იუწყება ირინე ფალავანდიშვილის მამის **დიმიტრი ფალავანდიშვილის** გარდაცვალებას. 276

ქმარი მამია შობლებით, მული თამარ, და მერი, ძმა ალიოშა იუწყებიან **ნინო სიშნიანა-ჩახუნაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვ. 14/III, 5½ ს. სადგურის, 25.

ქმარი იოსებ შვილებით. ნათესავები სიმონ, ნინო, ივანე ხარისჩარიშვილები იუწყებიან **ქრისტინე ხარისჩარიშვილის** გარდაცვალებას. 281

მეუღლე ელისაბედ, შვილები ნელი, ოლია, ნინა იუწყებიან **პავლე ალიას-ძე ძოძუაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვ. 12/III, 5 ს. ჩელიუსკინის, 20. 285

მეუღლე მეტია შვილებით, ძმები ფილიპე, თედორე და დები ოჯახებით იუწყებიან **მაკარი ლეონტის** გარდაცვალებას. გამოსვ. 12/III, 5 ს. მახარაძის, 17. 282

შვილები ბაბო, ბიძინა, მიტუშა, გუგული, კატუშა, მარგო ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე მჭედლიძის** გარდაცვალებას. პანაშვ. 12/III, 6½ ს. გრიბოედოვის, 11.

გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მომლერალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრიგა დირი კონდრატი ჯგუბურია (მარცხნივ).
ფოტო რ. აკოფოვისა

ჯარისკაცის შრომა

(„პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტებისაგან)

დიდი მდინარეების გადალახვის შესახებ უკვე შეთხზულია და კიდევ შეითხზება ბევრი სიმღერა, პოემა, ბილინა. მაგრამ ვინ იმღერებს, ვინ მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ „გადალახეს“ ჩვენმა ჯარისკაცებმა 1944 წლის ადრიან და ნესტიან გაზაფხულზე სასტიკი უგზოობა, წითელი და ყომრალი ტალახი უკრაინის ბორცვებიანი ველებისა?

მხოლოდ საპჭოთა ჯარისკაცს შეუძლია შეუჩერებლად აწარმოოს შეტევა ასეთს უამინდობაში. მარტო მის დეგმბრულ მზრებს შეუძლია ასეთი შრომის ატანა. მარტო მას შეუძლია დაუნანებლად და მხიარული ხუმრობითაც კი განშორდეს საშრობ მიწურს ან იშიათად გადარჩენილ ჭიხს გერმანელებისაგან გადამწვარს ამ სოფლებში და საჭიროდ შემოიხვიოს ფეხზე გაუშრალი სახვევები, წამოისხას ჯერ კიდევ სველი ფარაჯა და ჩაებას ახალ ბრძოლაში.

— ჯუტები, მამიდავ, გასაშრობად არა გეცალია, — ეხლოდ ამას ეტყვის იგი წასვლისას გულკეთილ დაასახლისს.

შეტევა ჯადოსნური სიტყვაა. როდესაც ადამიანებს ზურგში ესმით სიტყვები „შეტევითი გაჭანება“, მათ წარმოუდგებათ: ბრძოლის ცეცხლი და კვამლი და მასში საბრძოლო აღფრთოვანებით უეცრად გამსჭვალული მეომრები აღსდგებიან, არად აგდებენ სიცვდილს, მოკლე ხნის, სასტიკი, მძაფრი ძალის იერიშით ამარცხებენ მტერს. ყწორედ ასეც ხდება. ეს არის სწორედ ჯარისკაცის გმირობა, მაღალი შეტევითი გაჭანება. მაგრამ რა უდიდესი ძალის უნდა იყოს შეტევითი გაჭანება, რათა ყოველ დღე, ყოველგვარ ამინდში, დღისითაც და ღამითაც, შეუსვენებლივ მიიწევდე წინბრძოლით ამ წყეულ ტალახში, სდევნიდე მტერს, როდესაც იგი გარბის, სტენდე მის თავდაცვას, როდესაც იგი წინააღმდეგობას ეწევა, და ერიკებოდე მას. ერიკებოდე შორს შენი მიწა-წყლიდან — ბუგამდე, ბუგს გაღმა, დნეპრს გაღმა, ბოლომდე. ასეთი შეტევითი გაჭანებისათვის მარტო აღფრთოვანება და ენტუზიაზმი როდი კმარა. საჭიროა გჭონდეს ბოლშევიკური ნებისყოფა, საჭიროა გქონდეს დევგმირული ძალა.

— როდესაც უკან მივდიოდით, — გვითხრა მებრძოლმა ივანე სლესარევმა, — ფეხები მძიმე, უხალისო გვქონდა. ხოლო როდესაც წინ მივდივართ — ფეხი მსუბუქი გახდა, თვითონ მიიწევს.

მიიწევს! მიწა-წყალი, რომელიც გერმანელთა ულელქვეშ გმინავს—იზიდავს. სრული გამარჯვების ამაღელვებელი სიახლოვე — იზიდავს. აი რატომ არის, ჯარისკაცის მძიმე შრომა რომ მძიმე არ არის. წინ! წინ!

წინ! სარტილერიო გუნდი სერჟანტ იეკინისა, რომელიც დაჯილდოებულია ბევრი ორდენითა და მედლით, თვითონ მიათრევს ქვემეხს, მიათრევს ტალახში. შებმიან, როგორც კარგი ცხენები, აწევებიან მხრით, მკერდით, მთელი ტანით. ტალახში ეფლობა ბორბლები, ძნელი დასაძლეველი გზა, მაგრამ ადამიანები არ ეშვებიან. წინ! საჭიროა მხარი დაუჭიროთ ქვეითი ჯარის შეტევას, თორემ ჩაიფუშება. არტილერისტები ღია პოზიციაზე გამოადგებენ მძიმე ქვემეხს, ურტყამენ პირდაპირი დამიზნებით. ანგრევენ ბლინდაჟს. იქიდან გამოსცვიენ თავზარდაცემული ფრიცები. კიდევ ერთი ყუმბარა. ამოსულია გერმანელი მაიორი. ხიშტით ეცვეთება ჩვენი ქვეითი ჯარი. გერმანელთა ბატალიონის ნაშთები ტყედან ნებდებიან.

წინ! შრებით მიაქვთ ნაღმსატყორცნი გვარდიის რიგითს ჯარისკაცს მორდელ სერჟანტოვს და ჩუვაშელ ვლასოვს. ერთს ფარი მიაქვს, მეორეს კი—ლულა. მიაქვთ ათ, ოც, ოცდაათ კილომეტრზე. მიაქვთ ყოველ დღე. ბრძოლიდან ბრძოლამდე. და გგონია, ერთ სხეულად იქცნენ მეომარი და მისი იარაღი, ფოლადის ფარი და ადამიანი, და ჯერ კიდევ გამოურკვეველია, რომელ მათგანში უფრო მაგარი ფოლადია.

— მე და ის, — სიყვარულით ამბობს ნაღმსატყორცნზე სერჟანტოვი, — მე და ის ერთად ვუტევთ, ქვეითს ჯარს ზურგში ჩამოვრჩებით.

ისინი არ ჩამორჩებიან. გუნდის ყოველ მებრძოლს ფარაჯის ჯიბეში ორი-სამი ნაღმი აქვს. ეს იმ შემთხვევისათვის, თუ ზურგიდან ვერ მოიტანა. პირველი ჯერისათვის ათეული ნაღმი საკმარისია. წინ!

მოდის წვიმა. ცივი, შეუწყვეტელი. ნაღმსატყორცნელი სემირენკო ჩახთაში ღებულობს მშრალ საწვიმარს და მზრუნველობით აფარებს ნაღმსატყორცნს, თვით სემირენკოს სველი ფარაჯა აცივა. ასე გადის ღამე. ნაღმსატყორცნელი მთლად ქანქალებს სიცივისა და სინესტისაგან, მაგრამ მისი იარაღი სრულ წესრიგშია. ეს ასეც უნდა იყოს, სემირენკოს აზრით.

— მატერიალური ნაწილის გარეშე მე რად ვგავარვარ? — მსჯელობს იგი. — მატერიალური ნაწილის გარეშე მე სრულიად არაფერი არ შემიძლია. იგი დანესტანდება, ქანგს მოადებს, — და აი ორიენტირი ერთად დაიღუპეთ. მე კი მჩრეული ვარ, ქანცი არ მომეკიდება.

ასე ეპყრობა კაზაკიც ცხენს, თვითონ არა სჭამს — ცხენს კი გამოკვებავს. ასე ეპყრობა მეტყვიამფრქვევე „მაქსიმს“: სიცხეში თვითონ არ დალევს წყალს, ტყვიამფრქვევს კი დაალევინებს. „მატერიალური ნაწილი! მას უნდა გაუფრთხილდე, ტექნიკაა!“. სემირენკო ნაღმსატყორცნს არ უწოდებს ნაღმსატყორცნს, არამედ ყოველთვის მატივისცემით და საზიმოდ იტყვის: მატერიალური ნაწილი. მატერიალური ნაწილი მას ბრძოლაში არ უმტყუნებს.

ბრძოლები მიიწევს დასავლეთისაკენ ქვეითი ჯარი.